საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 29 სექტემბერი. 2016 წ. №181 (8073), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პოლიტიკური ბრძოლის ველზე პარტიების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გრძელდება!

ომარ მარგველაშვილი:

სალი აზროვნების, ელემენტარული ანალიზის უნარი ხომ არ დავკარგეთ? ③

ლია წერილი ბიძინა ივანიშვილს

ორსვლიანი ფინანსური კომბინაცია?! ②

ბურჭულაძეს გირჩისთვის ერთი და იგივე ადგილების ორჯერ მიყიდვა უნდოდა

ნამუსის ძარღვგაწყვეტილნი ④

უსიამო აქცენტები და ცხელ გულზე დაწერილი უსტარი

ვინ იცავს ადამიანის უფლებებს? ⑤

ბაია პატარაია და მაგდანას ლურჯა ჩოკინა

რას სუნთქავენ მსოფლიოში და რას სუნთქავენ საქართველოში ⑥

ყოფილი პატიმარი სააკაშვილის, რულოვსის, კალმახელიძის, შაშკინისა და ლომაიას წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს ⑦

⑤ ვისი ბრძანებით დაარბიეს „იმედი“?

საქართველოში პირველად, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაცია იწყება ⑨

ორსვლიანი ფინანსური კომბინაცია?!

ბურჭულაძეს გირჩისთვის ერთი და იგივე ადგილების ორჯერ მიყიდვა უნდოდა

ხათუნა ლაგაზიძე „მეტრონომთან“ ბურჭულაძის პარტიაზე და აქამდე უცნობ დეტალებზე საუბრობს.

„100%-ით გამართლდა ის, რასაც მე ვამბობდი, პაატა ბურჭულაძისთვის ეს იყო ბიზნესპროექტი. ის დაღუპა სიხარბემ. მან უბრალოდ ორსვლიანი ფინანსური კომბინაცია გაითამაშა“, — განუცხადა „მეტრონომს“ პაატა ბურჭულაძის პარტიის ყოფილმა წევრმა ხათუნა ლაგაზიძემ. მისი თქმით, ბურჭულაძემ კოალიციის შექმნისას სიაში ადგილები გამოათავისუფლა და ამაში ფული აიღო, ახლა კი ხელახლა აპირებდა იმ ადგილებში ფულის აღებას.

„მე თავიდანვე ვაცხადებდი, რომ ბურჭულაძისთვის ეს აღმოჩნდა ბიზნესპროექტი და არა რეალურად ის მიზანი, რასაც ის აცხადებდა. ჩვენ პაატა ბურჭულაძის გვერდით დავდექით ერთადერთი მიზნით, რომ მას ჰქონდა ახალი თაობის შემოყვანის რესურსი ქართულ პოლიტიკაში. პარტია სწორედ ამ იდეის გარშემო შენდებოდა, მაგრამ უბრალოდ დაგიდასტურებთ ერთს — 100%-ით გამართლდა ის, რასაც მე ვამბობდი, პაატა ბურჭულაძისთვის ეს იყო ბიზნესპროექტი. ის დაღუპა სიხარბემ. მან უბრალოდ ორსვლიანი ფინანსური კომბინაცია გაითამაშა — ჯერ კოალიციის შექმნისას გამოათავისუფლა ადგილები სიაში და ამაში ფული აიღო, ახლა უკვე აპირებდა ხელახლა აეღო ფული იმ ადგილებში, რომელიც „გირჩს“ მისცა. ორმაგი ფინანსური მოგებისთვის ითამაშა და ამან დაღუპა, ეს იყო და ეს“, — განუცხადა „მეტრონომს“ ლაგაზიძემ.

მისი თქმით, ის, რომ ბურჭულაძემ თითქოს გუშინ გაიგო, თურმე „გირჩი“ ივანიშვილისგან ფინანსდებოდაო, ეს მხოლოდ და მხოლოდ მიზეზი იყო. როგორც ლაგაზიძე ამბობს, პაატა ბურჭულაძისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ იდგა „გირჩის“ უკან და საერთოდ, იდგა თუ არა ვინმე.

შეგახსენებთ, გუშინ, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „არჩევანში“ პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ მან „გირჩის“ სიიდან ამოღების გადაწყვეტილება მიიღო.

„მივიღე გადაწყვეტილება, რომ „გირჩი“ ამოვიღო სიიდან. ორი საათის წინ დადასტურებულად გავიგე, რომ ეს პარტია არის ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებული. მე ამას ვერ მივიღებ. ეს არის მიზეზი. მე ვერც სააკაშვილისგან მივიღებ თანხას“, — განაცხადა ბურჭულაძემ.

„გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ კი განაცხადა, რომ პაატა ბურჭულაძე მათ აშანტაჟებდა.

„პირველი პრობლემა გაჩნდა სიის შედგენის დროს. კონკრეტულად, იაგო ხვიჩიასთან მიმართებაში, როდესაც მისი „ფეისბუქსტატუსები“ დაუდეს პაატა ბურჭულაძეს. თუმცა, მაშინ ამ პრობლემის მოგვარება შევძელით. დღეს პაატა ბურჭულაძემ მითხრა, რომ სურდა „გირჩის“ წევრების სიიდან ამოღება. ჩემზე არ იყო საუბარი. მან მითხრა, რომ მე ვიქნებოდი სიაში და შევიდოდი პარლამენტში. ეს ადამიანი მე მაშანტაჟებდა, რომ თუ „გირჩი“ ვერ შეძლებდა გარკვეული ფინანსების მოძიებას, იმ შემთხვევაში „გირჩის“ წევრები ამოღებული იქნებოდნენ პარტიული თუ ბლოკის სიიდან. რა თქმა უნდა, მე განვუცხადე უარი, ეს იყო შანტაჟი, მას თანხა არა ბლოკისთვის, არამედ პირადი მოხმარებისთვის სჭირდებოდა“, — განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

ნინო ცხადაია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევით ა.წ. 30 სექტემბერს ჩვენს ქვეყანას ესტუმრება მისი უწმინდესობა, რომის პაპი ფრანცისკე I თანმხლებ პირებთან ერთად. საქართველოს საპატრიარქო პატივისცემით მიესალმება სტუმარს და იმედოვნებს, რომ მისი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას და რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას.

ამასთან, ვაცხადებთ, რომ ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია ამ ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი სასულიერო პირის მიერ საჯარო სივრცეში გამოთქმული მკვეთრად უარყოფითი განცხადებები და მათაც და საერთოდ ყველას მოვუწოდებთ სიმშვიდისაკენ. შევნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენს და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის შუა საუკუნეებიდან შეწყვეტილია ლოცვით-ევქარისტიული კავშირი; და ვიდრე არსებობს დოგმატური სხვაობები, საეკლესიო სამართლის მიხედვით, მართლმადიდებელი მორწმუნეები არ იღებენ მონაწილეობას მათ მსახურებაში. ბუნებრივია, პაპი მესას კათოლიკეებისათვის ატარებს და ეს არ შეიძლება ჩაითვალოს პროზელიტიზმის გამოვლინებად, როგორც ამას ზოგიერთები მიიჩნევენ,“ — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საპატრიარქოს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

ბურჭულაძეს პოლიტიკაში მხოლოდ ფინანსები აინტერესებს!

პოლიტიკური ცენტრის „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი პავლე კუბლაშვილი აცხადებს, რომ პაატა ბურჭულაძეს პოლიტიკაში პირადი ინტერესები აქვს.

„ბევრი რამე შეიძლება მოიგონოს პაატა ბურჭულაძემ, მაგრამ მგონი, თვითონაც შერცხვა ეთქვა, თითქოს მსგავსი საუბარი გვქონდა, არანაირი საუბარი არც დღეს და არც მანამდე ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით არ გვქონია. როგორც ჩანს, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ბურჭულაძე. მას აქვს ძალიან ბევრი პრობლემა, საკუთარ თანაპარტიელებთან აქვს ძალიან დიდი ვალდებულებები, რომლებიც რაიონებში აგიტაციას ეწევიან მისი პარტიის სასარგებლოდ. მას არანაირად არ აინტერესებს ამ ხალხის ბედი, მას აინტერესებს მხოლოდ საკუთარი ხელფასი, ბურჭულაძეს პოლიტიკაში აინტერესებს მხოლოდ ფინანსები“.

მეცოდება პაატა ბურჭულაძე...

ნუპრი ძანთარიას პაატა ბურჭულაძე ეცოდება. **„ქართული ოცნების“ წევრმა ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე, „გირჩის“ მხრიდან საარჩევნო ბლოკ „სახელმწიფო ხალხისთვის“ დატოვების კომენტირებისას გააკეთა. ქანთარიას განცხადებით, „გირჩს“ ბიძინა ივანიშვილი არ აფინანსებს.**

პიროვნულად მეცოდება პაატა ბურჭულაძე. დიდი ხნის მანძილზე მოპოვებული ავტორიტეტი ხელოვნურად და უსუსურად გაფანტა. სცენაზეც რომ დაბრუნდეს, დაკარგულს ვერ აღიდგენს.

ჩამოდით, გელიან, მიშა ბატონო!

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის კახა კახიშვილის განცხადებით, ექს-პრეზიდენტ, ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლისა და სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, მისი საპატიმროში განთავსება პრობლემა არ იქნება. მისივე თქმით, ციხეებში გადატვირთულობის პრობლემები აღარ არის.

ია მეტრეველმა საკუთარი კანდიდატურა ბიძინა გეგიძის სასარგებლოდ მოხსნა

ია მეტრეველმა საკუთარი კანდიდატურა ბიძინა გეგიძის სასარგებლოდ მოხსნა. „ნეტგაზეთის“ ინფორმაციით, თამაზ მეჭიაურის პარტიის ვაკის მე-2 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატმა ია მეტრეველმა განაცხადა, რომ მეჭიაურის პარტიას არ ტოვებს, მაგრამ მეტრეველი ამბობს, რომ მას არ სურს, ხმები გაუყოს „ქართული ოცნების“ კანდიდატს, და „სიამოვნება მიანიჭოს ნაციონალურ მოძრაობას“!

„თავისუფალი დემოკრატები“ „ოცნებაში“ წევრდებიან

„თავისუფალი დემოკრატების“ ხობის რაიონული ორგანიზაციის 30-მდე წევრმა პარტია დატოვა და „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა.

როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ ხობის რაიონული ორგანიზაციის უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ ინგა ჩაგანავამ პარტიის დატოვების მიზეზებზე საუბრისას ბრიფინგზე განაცხადა, „თავისუფალი დემოკრატები“ ნაციონალური მოძრაობის სატელიტი პოლიტიკური ძალაა.

გოგა ხაინდრავა: „კარგი იქნებოდა გამეგო ჰეროკრატიის კრიტიკა“



გოგა ხაინდრავა „ჰეროკრატიის“ რეიტინგით კმაყოფილია და ამბობს, რომ ფილმმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. მანვე განაცხადა, რომ საქართველოში პროფესიონალური კრიტიკული შეფასებები არ კეთდება, რაც მას ძალიან სჭირდება:

„არც ერთი პროფესიონალური შეფასება არ ყოფილა. კრიტიკის მხრივ ეს ჟანრი ძალიან მოისუსტებს საქართველოში. მე ძალიან მჭირდება პროფესიონალი კრიტიკოსი. არაფერია უშეცდომო და არის შეცდომებიც, არის მომენტები, რომელიც მეტ-ნაკლებად კრიტიკას იმსახურებს. კარგი იქნებოდა გამეგო კრიტიკა, რადგან მომავალში მეცოდინება რა უნდა გავაკეთო“, — აღნიშნა ხაინდრავამ.

მეხუთე „თბილისობა“ კიევში

1-2 ოქტომბერს კიევის ცენტრში სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“, უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელის“ და პიარ-სააგენტო „G.E.M.“-ის ორგანიზებით ქართულ-უკრაინული მეგობრობის ფესტივალი „თბილისობა ანდრეევსკის დაღმართზე“ გაიმართება.

ორი დღის განმავლობაში თეატრ „კოლესოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სცენაზე სტუმრების წინაშე წარსდგებიან ქართველი და უკრაინელი არტისტები: ჯგუფი „სოლომია“, ანსამბლები „იბერიელი“ და „იბერია“, „ქართული ხმები“, შმაგი თაღიაშვილი, ბალეტი „Georgia“. ასევე გაიმართება საცეკვაო ფლეშმობი, რომელში მონაწილეობასაც ფესტივალის სტუმრები შეძლებენ. პარალელურად, ივანე კავალერიძის სახლ-მუზეუმში გაიმართება ქართველი მხატვრების მაკო ბათიაშვილის, ლევან მინდიაშვილის, ირაკლი ბუღიანის, ნიკა სახანბერიძისა და მაია სუმბაძის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც 9 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ფესტივალის პირველივე დღეს სტუმრებს საშუალება ექნებათ იქვე მიიღონ მონაწილეობა ლიტერატურულ საღამოში.

ორი დღის განმავლობაში დაინტერესებულთათვის, ბულგაკოვის სახლ-მუზეუმში სტუმრებს დიდი უკრაინელი მწერლის საქართველოსთან კავშირზე მოუთხრობენ.

მოგზაურობის მოყვარულებს, ქართული კურორტების შესახებ სასტუმრო „ვოზდვიჟენსკის“ ეზოში უამრავ საინტერესო ინფორმაციას მიაწვდიან, სადაც ასევე საუკეთესო ქართული ღვინოების დეგუსტაცია გაიმართება. ფესტივალის ფარგლებში ტრადიციულად გაიმართება უამრავი მასტერკლასი, პერფორმანსი სიზმრების მუზეუმისგან. ცნობისთვის, საქართველოს ისტორიასა და კულტურაში მეტად გარკვეულებს შანსი ექნებათ მოიგონ საგზური საქართველოში კომპანია „ილვი ტურისგან“, ან ბილეთი თბილისში, ფასდაკლებასთან ერთად ავიაკომპანია „Atlas Global“-ისგან. ფესტივალი გაგრძელდება ორი დღის განმავლობაში 01.10 სთ-დან 02.10 სთ-ის ჩათვლით. პროგრამა 12:00-დან 19:00-მდე გაგრძელდება.

სალი აზროვნების, ელემენტარული ანალიზის უნარი ხომ არ დავკარგეთ?

ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

საგანგაშო მასშტაბები მიიღო არასამთავრობოების თავხედობამ, რომლებიც ფინანსდებიან უცხო ქვეყნებიდან, ანუ არიან იმ ქვეყნების აგენტები, რომლებიც მათ აფინანსებენ და მათ ინტერესებს გამოხატავენ და იცავენ.

ბატონო ბიძინა!

თავიდანვე გეტყვით, რომ კარს მომდგარ არჩევნებში მე და ჩემი მრავალრიცხოვანი სამეგობრო ხმას მივცემთ „ქართულ ოცნებას“. რატომ? უამრავი სიკეთე გაქვთ გაკეთებული ქვეყნისა და ხალხისთვის, რომლის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა მთავარ სიკეთეზე – გადაუჭარბებლად ვაცხადებ: თქვენ იხსენით საქართველო და მისი მოსახლეობა სააკაშვილის უბოროტესი, კაცმოძულე რეჟიმისგან; და ამისთვის უღრმესი მადლობა!

მაგრამ... ხელისუფლებაში თქვენი მოსვლისთანავე ხალხი „ქართული ოცნებისგან“ სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა, რაც დორბლიანი სააკაშვილის და მისი ბანდის კრიმინალი წევრების გასამართლებას ნიშნავდა. მხოლოდ – მერაბიშვილის, უგულავას, ახალაიას და სხვათა დაპატიმრება სულაც არ აღმოჩნდა საკმარისი სამართლიანობის აღსადგენად და ეს თქვენ თავად მშვენივრად იცით.

ჩემი ქვეყნის მაოხრებელმა „ნაციონალებმა“ ცხრა წლის მანძილზე უამრავი საშინელება და სისაძაგლე ჩაიდინეს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, იმდენად ვრცელი და ამაზრზენია მათი დანაშაულები!

თქვენი დიდსულოვნება, რაც ე.წ. კოჰაბიტაციის სახით გამოიხატა, „ნაციონალებმა“ ბოროტად გამოიყენეს. ხალხის მტანჯველები და საქართველოს უმშვენიერესი ტერიტორიების ჩამბარებლები ისე გათავხედდნენ, რომ „ქართულ ოცნებას“ აქეთ უყენებენ პრეტენზიებს და სალანძღავ სიტყვებს არ იშურებენ.

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მაინც, რაშიც მოსახლეობის გონიერ ნაწილს ეჭვიც არ ეპარება, მოსთხოვეთ მათ პასუხი კანონის მთელი სიმკაცრით. თუ თქვენ ამ სამართლიან ნაბიჯს არ გადადგამთ, ვშიშობ, არათუ მომავალ – 2020 წლის არჩევნებში ვერ გაიმარჯვებთ, მაგ არჩევნებამდე შეიძლება, ვერც კი მიაღწიოთ.

ქვეყანა უნდა იმართებოდეს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ხელით და არა რომელიმე უცხო ქვეყნის კარნახით. განა სამართლიანი იყო ჯალათი სააკაშვილისთვის ერთი წლით პრეზიდენტობის ვადის გაგრძელება, იმ არაკაცისთვის, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ მან გასცა აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის ბრძანება.

რამდენად სამართლიანი იყო სააკაშვილის ყურმოჭრილი მონების, მისი დანაშაულებრივი ბრძანებების უყოყმანო შემსრულებლების – კუბლაშვილის, ქადაგიძის, პაპუაშვილის ვადის ამოწურვამდე თანამდებობებზე დატოვება?

რატომ არ არიან დაპატიმრებული, ევროპის სასამართლოს მიერ გამართლებული სულხან მოლაშვილის წამებაში დამნაშავე, ბატონი სულხანის მიერვე მხილებული ბოკერია და ადეიშვილი?

რატომ ტკბებიან თავისუფლებით და წამლავენ ჰაერს სულხან მოლაშვილის, გურამ შარაძის, სანდრო გირგვლიანის, ომარ თეთრაძის, ზურა ვაზაგაშვილის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის და კიდევ, მრავალი უდანაშაულო ადამიანთა მკვლელები?

უამრავი დანაშაულის ჩამდენი და ბიზნესმენების ფულის გამომძალველები კუზერაშვილი და ოქრუაშვილი როდემდე უნდა დასეირნობდნენ დაუსჯელად, ნუთუ ასეთი უსუსურია ჩვენი მართლმსაჯულება? ბოროტმოქმედი ოქრუაშვილი პარლამენტში შესვლასაც კი ცდილობს.

რატომ არ იძიებთ ლაფანყურის ტრაგედიას? ბოლომდე არ მიიყვანეთ გელაშვილის ცემით სიკვდილის პირას მიყვანის ფაქტი?

როდემდე უნდა იმართებოდეს საქართველო აშშ-ის ელჩის სურვილით და მითითებით, რომელსაც თავი ჩვენი ქვეყნის დირექტორი ჰგონია... ნუთუ ასეთი უნიათოა ჩვენი ხელისუფლება და პარლამენტი! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამერიკის ელჩები საქართველოში ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩვენ შევიძულოთ აშშ და ამერიკელი ხალხი.

ყოფილმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა არც კი დაასახელა გადადგომის მიზეზი, რითაც გვანიშნა – გადავდექი ზეწოლის გამოო.

ჩვენი საზოგადოების აზრით, „სტრატეგიული მოკავშირის“ ელჩი რიჩარდ ნორლანდი ითმენდა, როდესაც ღარიბაშვილი არასამთავრობოებს უწოდებდა მოღალატეებს, რომლებიც ეწევიან ძირგამომთხრელ საქმიანობას. მოითმინა ნორლანდმა, როდესაც ირაკლიმ განაცხადა, უფალი და სამშობლო მარადიული ფასეულობებიაო. მაგრამ, ნორლანდის მოთმინების ფიალა აავსო ახალგაზრდა პრემიერის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის სურვილმა, „ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობლივი თანაცხოვრებაო“. ძალიან სამწუხაროა, რომ ამერიკის ელჩის მითითებით ხდება თანამდებობის პირების გათავისუფლებაც და დანიშვნაც. ჩვენ არ ვართ ღირსეული კადრებით განებივრებული, ამიტომ ირაკლი ღარიბაშვილი აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

ვერა და ვერ გაიწმინდა „სააკაშვილის ნარჩენებისგან“ პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასამართლო და უშიშროების ორგანოები. შეიძლებოდა მურუსიძის არჩევა იუსტიციის საბჭოში? ეს ხომ დანაშაულია!

შეიძლებოდა სააკაშვილის ჯალათების მიერ ჩადენილი საშინელებების ამსახველი ფირების განადგურება? ეს ხომ ნივთმტკიცების უტყუარი დოკუმენტები იყო და მათი ჩვენებით უნდა დაგვერწმუნებინა ამერიკა და ევროპა მიშას რეჟიმის დანაშაულებრივ, მხეცურ სისასტიკეში.

განა სწორი იყო პარლამენტის მიერ შესაშური ოპერატიულობით, ერთხმად, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, მიუხედავად იმისა, რომ უწმინდესი და უნეტარესი იხვეწებოდა, ნუ ჩქარობთ, დავფიქრდეთ, ვიმსჯელოთ, განვიხილოთ მშვიდ გარემოში.

არავითარი გამართლება არა აქვს სასჯელის შეკრებითობის წესის გაუქმებას, ესეც მოსვლისთანავე გააუქმეთ, ამან ხომ ბევრი გაუგებრობა და ხალხის გულისწყრომა გამოიწვია, არადა, ეს კანონი ბევრ მოწინავე დემოკრატულ ქვეყანაში თუნდაც აშშ-ში, წარმატებით მოქმედებს.

განა ოთხი წლის მანძილზე ქუთაისიდან პარლამენტის თბილისში გადმოტანა არ შეიძლებოდა, რითაც დავზოგავდით უამრავ საბიუჯეტო სახსრებს?

განა გენიალური მერაბ ბერძენიშვილის (საფლავში ჩაყვა ეს ჯავრი) ბრწყინვალე ქმნილება ჩვენი წმინდანი მეფის უკან დაბრუნება და სამარცხვინო ველოსიპედის, რეიგანის ძეგლის აღება და „ტრუბების“ თეატრის დასრულება და ამოქმედება არ შეიძლებოდა?

დანაშაულებრივი შეცდომებია დაშვებული საკადრო პოლიტიკაში. საზოგადოებას თავიდანვე კარგად ესმოდა, რომ თქვენი „პროტეჟე“ და, სამწუხაროდ, ჩემი მოგვარე, პრეზიდენტის თანამდებობისთვის შეუფერებელი იყო;

მარგველაშვილს ძალიან ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული და იმისთვის, იმსახურებს მკაცრ კრიტიკას და არა იმისთვის, რომ პრეზიდენტის რეზიდენციაში ზის, განა პრეზიდენტის რეზიდენცია, რომლიც სააკაშვილმა, რა თქმა უნდა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით ააშენა, სხვა რისთვის შეიძლებოდა გამოგეყენებინათ – და თუ სხვა ფუნქციას მიანიჭებდით, დამატებით უამრავი საბიუჯეტო თანხები დაიხარჯებოდა.

ხალხი ხმამაღლა აპროტესდებდა მაია ფანჯიკიძის საგარეო საქმეთა, ხოლო თინათინ ხიდაშელის თავდაცვის მინისტრებად, უმაქნისი კბილაშვილის მთავარ პროკურორად, მანქურთი უჩა ნანუაშვილის სახალხო დამცველად დანიშვნას და ეს სამარცხვინოდ მიაჩნდათ.

დიდი შეცდომა იყო, აგრეთვე, „ერთპროცენტიანი“ რესპუბლიკური პარტიისთვის ქვეყანაში მთელი ძალაუფლების გადაცემა, გუბაზ სანიკიძეს „გამილიონერებაზე“ პასუხი რომ არ მოსთხოვეთ.

ცოდვილებმა და არა მარტო მათ მალე გამჟღავნეს თავიანთი უმადური ბუნება.

გარემოს დაცვის მინისტრის მუშაობის საბოლოო შედეგი ხომ ნულის ტოლია.

რაც შეეხება ნოდარ ჯავახიშვილს, მე მას 40 წელია, ვიცნობ. ის კეთილსინდისიერი პიროვნება და კარგი ბანკირია, მაგრამ ინფრასტრუქტურის მინისტრად – ნურას უკაცრავად.

გამაღიზიანებელია და სასწრაფოდ უნდა აღგეკვეთათ სახელმწიფო მოხელეებზე უზარმაზარი პრემიების და დანამატების გაცემა ვითომდა კარგი მუშაობისთვის.

გამაღიზიანებელია დეპუტატები უაზრო, ქვეყნისთვის უშედეგო მივლინებებით გუნდგუნდად რომ დასეირნობენ ამერიკასა და ევროპაში. საკითხავია, აქვს ჩვენ სახელწიფოს ამდენი უსაქმურის უაზრო პარპაშის სახსრები?

უმუშევრობა იმიტომ არ მცირდება, რომ არ აშენებულა არც ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტი, განა, ახალაშენებული ძვირად ღირებული საკონცერტო დარბაზი გურია-აჭარის საზღვარზე გადაწყვეტს ამ პრობლემას? ვერა, რა თქმა უნდა!

ქუთაისში საუნივერსიტეტო ქალაქი რომ გინდათ ააშენოთ და ერთი მილიარდი ევრო დახარჯოთ, განა ეს გონივრულია? ვინმემ დათვალა მისი ეკონომიკური დასაბუთება ან წარმოადგინა ამ პროექტის ანალიზი და პროგნოზი პერსპექტივაში?

აუცილებელია რუსეთთან დიალოგის დაწყება, კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საწინდარია. სხვა ვერც ერთი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია აფხაზეთს და ოსეთს ვერ დაგვიბრუნებენ რუსეთის კეთილი ნების გარეშე.

სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს საგარეო ვალი 15 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. მისი დაბრუნების წინაპირობა თქვენ უნდა შექმნათ.

თქვენმა ნაქებმა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, ვერა და ვერ ისწავლა ქალაქის რთული მეურნეობის მართვა. ქალაქის კეთილმოწყობაზე და გამწვანებაზე უამრავი საბიუჯეტო თანხები იხარჯება, უკუგება კი მიზერულია.

გამომცემლობა „სამშობლოს“(30 რედაქცია) ვერაგული და ბარბაროსული დარბევა გავიხსენოთ. ჟურნალისტები და არასამთავრობოები, რომლებიც მენტორული ტონით გვესაუბრებიან ეკრანიდან და მორალს გვიკითხავენ, ამ შემზარავ ფაქტზე ხმას არ იღებენ.

180 ათასზე მეტი საჩივარია პროკურატურაში შესული უკანონო პატიმრობის, ქონების წართმევის, წილების გადაფორმების, შანტაჟის, წამების. ვერ აღადგინეთ სამართლიანობა ქვეყანაში, განა ოთხი წელი ამისთვის საკმარისი არ იყო?

მეჩეთები და უამრავი არამართლმადიდებელი, არაქრისტიანული სალოცავები, თავშეყრის ადგილები, კოლეჯები, ლიცეუმები, სკოლები და ვინ ჩამოთვლის კიდევ რა არ შენდება და ფუნქიონირებს საქართველოში, ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს, არავინ არ არეგულირებს!

განა არ შეიძლებოდა პარლამენტის უკეთესი წევრებით დაკომპლექტება? ბევრმა გიღალატათ – ასეთი უმადურები სად მოძებნეთ, კადრებს გონივრული შერჩევა უნდა, „Кадры решают все“ ეს შეგონება ყოველთვის იყო და იქნება პრიორიტეტული.

ჩემი აზრით, პარლამენტი ძირითადად უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებით, პოლიტოლოგებით, იურისტებით, ეკონომისტებით, ფინანსისტებით და სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, მშენებლობის, გამოცდილი სამეურნეო სპეციალისტებით.

საქართველოში ყველა პოლიტიკისკენ მიილტვის, დეპუტატობა სურს. დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველს ბევრს ჰპირდება, მაგრამ პარლამენტში რომ ამოყოფს თავს, ამომრჩეველს ივიწყებს. ამომრჩეველს კი არანაირი ბერკეტი არა აქვს, დეპუტატი აიძულოს, რომ დანაპირები შეასრულოს. ამიტომ, ვფიქრობ, აუცილებელია შემუშავდეს კანონი, რისი ძალითაც ამომრჩევლები შეძლებენ, გამოიწვიონ პარლამენტიდან უღირსი და მატყუარა დეპუტატი. ამ კანონის ამოქმედება ბევრ ვიგინდარას დაუკარგავს პოლიტიკაში წასვლის სურვილს და ფართო გზას გაუხსნის საქმის მცოდნე, კეთილსინდისიერ ადამიანებს, რომლებსაც მაღალი პასუხისმგებლობა აქვთ ქვეყნის და ხალხის წინაშე.

ყველა არჩევნები მიმდინარეობს პარტიების მწვავე ურთიერთდაპირისპირებით, ზიზღით, ლანძღვით, მკვლელობებითაც კი (პატარა რაფალიანცის საქმე დღემდე არ არის გამოძიებული), არანორმალური ლტოლვით პარლამენტში მოსახვედრად და ამით თავისი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად და საბიუჯეტო ხარჯების მკვეთრად შესამცირებლად აუცილებელია პარლამენტის წევრების რაოდენობის შემცირება და პარლამენტარებისთვის იმუნიტეტის მოხსნა.

საგანგაშო მასშტაბები მიიღო არასამთავრობოების თავხედობამ, რომლებიც ფინანსდებიან უცხო ქვეყნებიდან, ანუ არიან იმ ქვეყნების აგენტები, რომლებიც მათ აფინანსებენ და მათ ინტერესებს გამოხატავენ და იცავენ.

აგრეთვე, კატეგორიულად უნდა აიკრძალოს უცხოტომელებზე მიწების გაყიდვა.

შემაშფოთებელია ტელეკომპანიების „რუსთავი-2“-ის და „იმედის“ გადაცემები. მათი ე.წ. თოქშოუები, არც მეტი და არც ნაკლები, იდეოლოგიური დივერსიები მიმართულია ქართული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. მიმდინარეობს ყველაფერი ქართულის გაქილიკება და მასხრად აგდება, ხოლო ისეთი „ტელევარსკვლავების“ გადაცემები, როგორებიც არიან ეკა კვესიტაძე, გიორგი გაბუნია, აკაკი გოგიჩაიშვილი, მაია ასათიანი, ნანუკა ჟორჟოლიანი, გიორგი ჯაჯანიძე, ვანო ჯავახიშვილი პროპაგანდას უწევენ უზნეობას. მართალია, მავანი იტყვის, ეს კერძო ტელეარხებია და რასაც უნდათ, იმას გადასცემენო, მაგრამ გირჩევთ გაიხსენოთ, თუ რა სიმკაცრით ებრძვიან იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებში უზნეობის გავრცელებას ტელესივრცის მეშვეობით – მრავალმილიონიანი ჯარიმებითა და ლიცენზიის ჩამორთმევით! კარგი იქნება, თუ საქართველოს სახელმწიფო ამ მეტად საჭირო საქმეში გამოიყენებს აშშ-ის გამოცდილებას.

როგორც ეტყობა, ჩვენ, ქართველებმა, დავკარგეთ საღი აზროვნების, გნებავთ, ელემენტარული ანალიზის უნარი, როგორ შეიძლება ნაციონალების ცხრაწლიანი უტიფრობა და ზნედაცემულობა ოთხ წელიწადში დაგვავიწყდეს, ვერ შეაფასო ბოლო ოთხი წლის სიკეთეები – სიწყნარე, სიმშვიდე, უსაფრთხოება, სამედიცინო დაზღვევა, ბიზნესის თავისუფლება და სხვა მრავალი – ნათელაშვილის, ბურჭულაძის, სანიკიძის, ალასანიას და სხვათა გასაგონად!

კიდევ ბევრ რამეზე მინდოდა საუბარი, თუმცა ვთვლი, რომ ესეც საკმარისია. ვიმედოვნებ, წაიკითხავთ ჩემს წერილს. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ვუსურვებ „ქართულ ოცნებას“ და პირადად თქვენ!

პატივისცემით,
ომარ მარგველაშვილი

უსიამო აქცენტები და ცხელ გულზე დაწერილი უსტარი

ციკლიდან: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი!..“

ჩემი ყოფილი სტუდენტები თითქმის ყველა ტელეარხზე მუშაობენ. მათ შორის „რუსთავი-2“-ზე – პირადად ჩემთვის, საინტერესო და ახლობელ არხზე, რომლის გადაცემები, პოზიცია კი არის ზოგჯერ საკამათო, მაგრამ, ვინმეს პირადი სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად, ის ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდა...

ამ არხზე მომუშავე ჩემები – ნიჭიერები, ობიექტურები, პროფესიულად და ადამიანურად სინდისიერები, უფროს-უმცროსობის პატივისმცემლები, არაუმადურნი, მე-6 კორპუსის პატრიოტები, „რუსთავი-2“-ის გვარდიაა.

სწორედ მათ (ნოდარს, ნანუკას, მაიას, გიორგის, ნატოს...) ვთხოვ გადასცენ თავიანთ კოლეგას, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის დიპლომის მქონე ქალბატონ ეკა კვესიტაძეს, რომ მის საავტორო გადაცემა „აქცენტებში“ გაჟღერებული მისსავე უადგილო, „გამიზნული“ აქცენტების გამო, აკაკის „გამზრდელის“ წაკითხვა ნამდვილად არ მომიწევს, რამეთუ მას არ უცხოვრია იმ საინტერესო ატმოსფეროში, რომელიც იმ წლებში სუფევდა ფაკულტეტზე და მაშინდელი სუპერაქტიური გოგონა, როგორც სტუდენტი, ერთადერთხელ (!) მყავს ნანახი, ისიც სახელმწიფო გამოცდაზე, რომელზეც იგი, თსუ რექტორატმა დაუშვა, როგორც გამონაკლისი, ჩემი, ანუ, ფაკულტეტის დეკანის არგუმენტირებული (!) მოთხოვნის შედეგად.

პატარა გადახვევა: არავის არაფერს ვამადლი და არც სამაგიერო სიკეთეს ვითხოვ. ეს ნებისმიერ თქვენგანს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. ამ და სხვა დეტალს იმიტომ ვიხსენებ, რომ ამ დღეებში შექმნილი ვითარება და მასთან დაკავშირებული კომენტარები მაიძულებს ზოგადი და პროფესიული ეთიკის დაცვისკენ მოვუწოდო მავანს. და მივანიშნო: ძალზედ მნიშვნელოვანია საკუთარ სუბიექტურ მოსაზრებებზე მაღლა დგომა, მაშინ, როცა თანამდებობრივად თუ პროფესიულად ხელგეწიფება პერსონასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, შეფასება, რომელთაც შეუძლიათ პოზიტიური თუ ნეგატიური ზეგავლენა მის აწმყოსა თუ მომავალზე, ავტორიტეტზე, რეპუტაციაზე, მის გარშემო შექმნილ განწყობაზე. ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობდა ზემოთ მოტანილი ნაბიჯი და ისიც, რითაც მოგონებას ვამთავრებ:

„აქცენტების“ ავტორს კარგად უნდა ახსოვდეს სახელმწიფო გამოცდის პროცესი – მისთვის არცთუ სასიამო დისკუსია ბილეთის ძირითადი საკითხზეც („პრესა და პოლიტიკა“). მით უმეტეს, შედეგი – კომისიის მოულოდნელი, „გამაოგნებელი“ გადაწყვეტილება („კბილებით რომ გავიტანე“), რომლითაც პროფესორ თამაზ ჯოლოგუას სანდო ინფორმაციით, დიპლომანტი კვესიტაძე „სასიამოვნოდ გაკვირვებული“ დარჩენილა. პედაგოგიურად გამართლებული და ზნეობრივი გადაწყვეტილება მას გაუკვირდა, თორემ ჩვენთვის ეს ნორმალური, ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ.

ამიტომ დამიტოვა (უკვე მეორედ) უსიამო გრძნობა გასული კვირის „აქცენტებში“ დასმულმა აქცენტებმა და კიდევ „რაღაც-რაღაცებმა“...

თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, რომ „აქცენტები“ საგანგებოდ მიეძღვნა ახალი პოლიტ და წინასაარჩევნო ვარსკვლავის ერთი სატელეფონო საუბრის „ფარულ ჩანაწერთან“ დაკავშირებულ ისტორიას. ისიც ცნობილია, რომ ავტორის ძირითადი „დარტყმის“ ობიექტი „რეპორტიორი“ გახლდათ. იმასაც ხაზი გაუსვა, რომ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი საქტელერადიოს ყოფილი შეფი (ანუ, მე) გახლავართ. ჩემი ბიოგრაფიის ამ შტრიხის გამოკვეთას, ისევე, როგორც ღიმილისმომგვრელ ზოგიერთ სხვა მინიშნებას, კახეთში „ვირეშმაკობას“ ეძახიან.

უნდა გავაწბილო ავტორი და კომპანია: ვერ „გაარტყით მიზანში, სხვებთან ერთად მეც სააგენტოების მეშვეობით გავეცანი ამ პუბლიკაციას. ოპერატიულობის მხრივაც ჩვენების პირველობა მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვისაც, რამეთუ საკმაო ხანი „რეპორტიორში“ კი არა, თბილისშიც არ ვიმყოფებოდი. და ადგილზედაც რომ ვყოფილიყავი, შესაძლოა, ამ მასალის შესახებ მეც გამოქვეყნების შემდეგ გამეგო. და ეს ბუნებრივია – სარედაქციო დამოუკიდებლობის, შემოქმედებით საქმიანობაში, დირექციის ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობაში დამფუძნებლების ჩაურევლობის პრინციპს უმკაცრესად ვიცავ. ცალკეული ჟურნალისტების შემოქმედებასაც თვალს ვადევნებ მხოლოდ და მხოლოდ როგორც მკითხველი ან უფროსი კოლეგა. და თუ რჩევისთვის მომმართავენ, რა თქმა, უნდა დროს და გამოცდილებას არავის დავამადლი. ამას, მჯერა, უყოყმანოდ დაადასტურებს ნებისმიერი ყოფილი თუ ახლანდელი თანამშრომელი.

და როცა ატყდა აჟიოტაჟი, ბუნებრივია, ჩავიხედე სარედაქციო „სამზარეულოში“ და, ცოტა არ იყოს, დავიბენი: ვერ დავინახე „რეპორტიორით“ ასეთი გაწიწმატების სერიოზული მიზეზი. უფრო მეტიც, ვერც „რეპორტიორის“ ოპერატულობით მორიგე რედაქტორების ტრაბახის საფუძველი აღმოვაჩინე, რამეთუ სხვა სააგენტოებს კი დავასწარით, მაგრამ საკმაოდ დავაგვიანეთ: ჩვენს საიტზე ჩანაწერი დაიდო „იუთუბიზე“ გამოქვეყნებიდან 11-12 საათის შემდეგ.

ნამეტნავად ბანალურია შეკითხვაც: საიდან მოხვდა „რეპორტიორის“ ხელში ეს მასალა, რატომ მას და არა სხვას აღმოაჩნდა ეს ჩანაწერიო...

– საიდან (?) მოხვდა და... იქიდან, საიდანაც თქვენ და ნებისმიერი სხვა რედაქცია იღებს ინფორმაციას!

– როგორ (?) და... ზუსტად ისე, როგორც თქვენ და სხვა კოლეგები მოიპოვებენ კიდევ უფრო საინტერესო მასალებს!

აშკარაა ამ შემთხვევაშიც: არ იქნებოდა „რეპორტიორი“ და იქნებოდა სხვა სააგენტო, ტელეარხი, რადიო, გაზეთი.

რა, ამის მაგალითი დღევანდელ მედიასივრცეში ცოტაა?

როდესმე ვინმესგან მოგვიკითხავს იმის დაკონკრეტება, თუ ვინ არის ის „წყარო“, ის „ჩიტი“ თუ „თუთიყუში“, ვინც ჩვენს კოლეგებს ამარაგებს არა ნაკლებ (თუ მეტი არა) საინტერესო თუ „სკანდალური“ ამბებით? და ესეც ბუნებრივია!

სხვათაშორის, აგერ, ამ ბოლო ხანს, საზღვარგარეთულ საიტებზე გამოქვეყნდა კიდევ რამდენიმე ჩანაწერი, გაცილებით უარესი (!), უფრო სკანდალური (!), მართლა საღრიალო. ყველა ამ ჩანაწერზე საუბრობს, მაგრამ კაცი არ კითხულობს კონკრეტულად საიდან, რატომ მაინცადამაინც უკრაინულ საიტზე და არა სხვაგან...

დუმილი! დუმილი! დუმილი!

„არასაიდან ხმა, არსით ძახილი!..“

ერთი სიტყვით, ფუჭია დავა იმ ელემენტარულ საკითხებზე, რაც დღესავით ნათელია, გონებაშეზღუდული ადამიანებისთვისაც კი, და ძნელად გასარკვევი აღმოჩნდა „აქცენტებისთვის“. ეტყობა, ამიტომაც სთხოვს დახმარებას საგამოძიებო უწყებებს ჩვენი კოლეგა: დაკითხეთო „რეპორტიორი“!

იგრძნობა, ახლობელი მრჩევლის ხელი, ჩვეული სტილი, მდიდარი გამოცდილება... აკი, ასე სკრუპულოზური გამოიძიების შედეგად დაადგინეს დამნაშავენი გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, თეთრაძის და სხვათა „საქმეებში“...

რა თქმა უნდა, თუ ეს საჭირო გახდა, საგენტოს გენერალური დირექტორი ამომწურავ ინფორმაციას მიაწოდებს „სადაც ჯერ არს“. ისე, რომ იცოდეთ მსგავს მოთხოვნა-დასმენას შეჩვეულები ვართ. ისევე, როგორც მსგავსი ენთუზიასტ-ჩხირკიდელების კი არა, ზოგჯერ პროფესიული ნაბიჭვრების ცნობისმოყვარეობასაც აკმაყოფილებს ზოგიერთი ტელეარხი თუ საგამოძიებო სტრუქტურა, თუნდაც, „ვარსკვლავბიჭუნებით“ დაკომპლექტებული პროკურატურის ხელმძღვანელობა. თუმც, სულ ფუჭად ფახიფუხობს მავანი: როგორც ადრე, ახლაც ვერავინ დააჭრის ყურებზე ხახვს მართალ (!) „რეპორტიორს“.

ისე, რომ იცოდეთ მსგავს მოთხოვნა-დასმენას შეჩვეულები ვართ. ისევე, როგორც მსგავსი ენთუზიასტ-ჩხირკიდელების კი არა, ზოგჯერ პროფესიული ნაბიჭვრების ცნობისმოყვარეობასაც აკმაყოფილებს ზოგიერთი ტელეარხი თუ საგამოძიებო სტრუქტურა, თუნდაც, „ვარსკვლავბიჭუნებით“ დაკომპლექტებული პროკურატურის ხელმძღვანელობა. თუმც, სულ ფუჭად ფახიფუხობს მავანი: როგორც ადრე, ახლაც ვერავინ დააჭრის ყურებზე ხახვს მართალ (!) „რეპორტიორს“.

სამაგიეროდ, „აქცენტებში“ დასმულ-გაჟღერებული უადგილო აქცენტების შემდეგ მეხსიერებაში ამოტივტივდა ზოგიერთი ძველი თუ ახალი პუბლიკაცია, გაიბა ურთიერთდამაკავშირებელი უხილავი ძაფები და გაჩნდა ელემენტარული, როგორც ახლა უყვართ თქმა – ლეგიტიმური შეკითხვები იმის თაობაზე, თუ:

– რატომ დევნიან ასე პერმანენტულად „რეპორტიორს“ ვიღაც-ვიღაცები, სამოქალაქო აქტივისტებად, დემოკრატიის და „თავისუფალი სიტყვის“ დამცველებად რომ ასაღებენ თავს?..

– რატომ უყენებენ „რეპორტიორს“ აბსურდულ ბრალდებებს გაუგებარი წარმომავლობის, ბიოგრაფიის, დამსახურების, კომპეტენციის თვითმარქვია ექსპერტები, „კაპიტნები“ თუ „პრეზერვატივის პრინცესები“ – ყოფილი მაღალჩინოსნები, რომელთა მსუნაგობისა და „უთოფო ყაჩაღობის“ შესახებ ლეგენდებს ყვებიან მათი ყოფილი კოლეგები?

– საიდან მოაქვთ მათ და რატომ აკავშირებენ ეს მართლა „ნომრიანი აგენტები“ ჩვენ „რეპორტიორს“ ჩრდილოელ მეზობელს?..

– საიდან „ამოჩიჩქნეს“ ვითომ ანტიდასავლური თუ ყურითმოთრეული „სიძულვილის ენა“ ჩვენი სააგენტოს ორიგინალურ (!) მასალებში?..

ანდა, სრულიად ახალი და კონკრეტული ბოლო შემთხვევა:

– „რეპორტიორის“ ოფისში რატომ მივარდა ასე უცერემონიოდ „აქცენტების“ გადამღები ჯგუფი?

– როდის აითვისეს, სად დახვეწეს ზონდერჯგუფებისთვის დამახასიათებელი ასეთი „ჯიქური“ ტექნოლოგიები, მიყურადებები, ფარული მიკროფონებით, კამერებით?

დალოცვილებო, არ შეიძლებოდა კომენტარზე ჩვეულებრივი, ნორმალური, ტრადიციული, კულტურული წინასწარი შეთანხმება, თუნდაც ტელეფონით, რომ კოლეგებთან ურთიერთობაში საჭირო „აფთიაქარის“ სიფრთხილის ნაცვლად „კავალერისტული“ მეთოდით არ მოგენდომებინათ კონტაქტი და ოფისის „შტურმით“ აღება?

ანდა, ვინ ძალიან „ჭკვიანმა“ კეთილმსურველმა უკარნახა პრეზიდენტ ბუშისთვის ხელჩამორთმეულ ჟურნალისტ ქალბატონს აქცენტი გაეკეთებინა უტაქტო, პრიმიტიულ კავშირ-მინიშნებებზე ბევრისთვის სამარცხვინო „ფარულ ჩანაწერთან“, რომელიც ჩემ კერძო საკუთრებაში (!) არსებულ საცხოვრებელ სახლში გაკეთდა ფარულად (!), უკანონოდ (!), უზნეოდ (!) და რომელიც, სხვათაშორის, საშური ოპერატიულობით პირველმა (!) გაასაჯაროვა საგანგებო გადაცემაში „რუსთავი-2“-მა.

„ორმაგი სტანდარტის“ დამადასტურე-

ბელი ეს ფაქტი, ეტყობა, ფრიად ავტორიტეტულმა სპეციალისტმა უკარნახა ენთუზიასტ ავტორს, თორემ ამ „ნაჯახური-დახვეწილობით“ აღსავსე „მახვილგონივრულ“ სვლას, ალბათ, თავად არ „იკადრებდა“.

საერთოდ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ამ ბანალური პუბლიკაციის ზღვარგადასულმა და აშკარად სუბიექტურმა შეფასება-იარლიყებმა, რომლებითაც ზოგიერთმა კოლეგა თუ პოლიტიკოსმა „დააჯილდოვა“ ჩვენი შავბნელი“, „მთავრობასთან დაახლოებული“ სააგენტო..

თანაც, ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ ზოგიერთი პერსონა (მათ შორის ჩემთვის არც თუ უცხო, ერთი კი განსაკუთრებით ახლობელი) ისე დაუზოგავად ჭრის და კერავს, ისე დავიწყებული აქვს მრავალწლიანი თბილი ურთიერთობა, ისე დამაჯერებლად და ღრმადჩახედული სახით საუბრობს მისთვის აბსოლუტურად უცხო საკითხებზე, გეგონება... ჩვეულებრივ მღერის გოდუნოვის არიას საოპერო სცენაზე.

მაგრამ ერთია, როცა ამას აკეთებს საარჩევნო მარათონში ჩაბმული პოლიტიკოსი ან ჩინოვნიკი და მეორე, პიროვნება რომელსაც პრეტენზია (!) აქვს პროფესიონალიზმზე, ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების ცოდნა-ერთგულებაზე.

აი, ამ შემთხვევაში კი, ნურას უკაცრავად!

პასუხი გაეცემა ყველას, საგნებს დაერქმევა საკუთარი სახელები და, ნუ გონია რომელიმე მოკანდელაკ-მოდარჩიაშვილ-მობაბილაშვილ-მოუტიაშვილო პროვოკატორს (სქესის მიუხედავად), რომ ნამეტნავად მეშინია საკუთარი წარსულის წამოძახების.

და ბოლოს: მიუხედავად იმისა, რომ არ ვარ „აქცენტების“ მუდმივი მაყურებელი, მაინც განვიცდი მისი ავტორის მიმართ საზოგადოების ერთი ნაწილის კრიტიკულ, ზოგჯერ მოუზომავ, უხეშ შეფასებას (რიკოშეტით მის „მასწავლებლებსაც“ რომ ეხება, მით უმეტეს, ქალბატონი ჟურნალისტის დიპლომს ჩემი ხელმოწერაც „ამშვენებს“). იგი უნიჭო ნამდვილად არ არის, მიზანსწრაფვა არ აკლია, ოჯახურ-პროფესიულად არის გათვითცნობიერებული მოსმენა-თვალთვალის ტექნოლოგიებში, იდეურ მოწინაღმდეეგებზე დაუნდობელი, „ტანკივით გადავლაც“ სიამოვნებას ანიჭებს. და, სწორედ ამიტომ, მამაშვილურად ვურჩევ წაიკითხოს, ან ნახოს და გაიაზროს ნოდარ დუმბაძის ერთი შეგონება (http://www.myvideo.ge/v/2092900).

„ბავშვობაში არაფერი მოგიპარავთ?, ჰკითხა მწერალს ახალგაზრდა ჟურნალისტმა. აი, პასუხიც: — როგორ არა, მომიპარავს და ერთ ასეთ ქურდობას კარგი შედეგიც მოჰყვა.

მახსოვს, თხილი მოვიპარე კოლმეურნეობის ბაღში და მეველემ დამინახა და გამომეკიდა, მაგრამ რას დამიჭერდა, მოხუცი იყო, მე კი — ახალგაზრდა. გავიქეცი.

საღამოს კანტორაზე დამიბარა თავმჯდომარემ და მითხრა, თხილს რატომ იპარავდიო? მეველეც იქ იყო. სასტიკი უარი ვუთხარი, არ მომიპარავს–მეთქი და მეველე განცვიფრებული მიყურებდა. ვუთხარი, ეს მოხუცია, ალბათ, და მოეჩვენა, რომ მე ვიყავი-თქო.

გამომიშვეს. გზაში დამეწია მეველე და მითხრა, შვილო ნოდარ, ადამიანს აქვს შუბლის ძარღვი, ის რომ გაუწყდება, მერე იოლია ცხოვრება და ნუ გაიწყვეტ მაგ შუბლის ძარღვს და ნუ გაიიოლებ ცხოვრებასო, — მთხოვა.

ეს, როგორც ერთ-ერთი მცნება სახარებისა, ისე დარჩა ჩემს ცხოვრებაში და ვცდილობ, რომ ის ნამუსის ძარღვი, შუბლის ძარღვი, აღარ გავიწყვიტო არასდროს.“

შეიძლება ვცდები, მაგრამ, ვგონებ, სწორედ ზნეობის, ანუ „შუბლის ძარღვის“ სიბრტყეში უნდა ვეძებოთ „აქცენტების“ ავტორის შემოქმედებითი „პროდუქტით“ აუდიტორიის ერთი ნაწილის გაღიზიანება-უკმაყოფილების მიზეზი.

ისიც მგონია, რომ დიდი მწერლის რჩევა-გამოცდილების გათვალისწინება გამოგვადგება ყველა ჩვენგანს, დიდს თუ პატარას — ჟურნალისტს, მენეჯერს თუ პოლიტიკოსს, ჩემიანებს თუ „სხვისიანებს“!

ნუგზარ ფოფხაძე

ბაია პატარაია და მაგდანას ლურჯა ჩოკინა

იმ საუბარს, რასაც მე „მაესტროზე“ შევესწარი, მხოლოდ ტრაკატრუკი ან ტრაკუნი შეიძლება რომ ვუწოდოთ.

ბაია პატარაიას, ალბათ, ბევრი იცნობს, რადგან ყოველდღე ხან რომელი ეკრანიდან გადმოგვცქერის თმაგაჩეჩილი და ხან რომელი ეკრანიდან. ბაია ქალთა უფლებების თავგადაკლული დამცველია, თანაც თავისებური დამცველი: ქალს თუ უნდა კაცად აქცევს, თუ უნდა ქალ-კაცად, და საზოგადოებას ვალდებულს ხდის, რომ პატივი მიაგოს კაცად ქცეულ ქალსაც და ეგრეთ წოდებულ ქალ-კაცასაც...

და თავის ამ თავგადაკლულობაში, არცთუ მაინცდამაინც ჩვენდა საბედნიეროდ, ბაია მარტო არ არის. ყოველ შემთხვევაში იმ საღამოს ორი მამაკაცის წინააღმდეგ ბაიასთან ერთად იბრძოდა მეორე ამორძალი, თავად გადაცემის გამძღოლი, პოლიტიკიდან დამარცხებულად მოსული მაგდა ანიკაშვილი, რომელსაც, ბაიასი არ იყოს, ჰომოსექსუალიზმი და ლესბოსელობა ბუნებრივ ევროპულ მოვლენად მიაჩნია.

— სად გაგონილა პიროვნების უპატივცემლობა, პირველყოფილები ხომ არა ვართ. თუ კაცს კაცი მოსწონს, რატომ არ უნდა ვცეთ პატივი ორივეს ერთადაც და ცალ-ცალკეც. თუ ქალს ქალი მოსწონს, ასევე, — ამას ბაია ამბობს.

— ევროპული ცივილიზაცია რა, გადაშენდა, რაკი იქ ასე იქცევიან? თუ ევროპისკენ მივდივართ, თუ ერთი გზა გვაქვს, ცხოვრების წესიც ერთინაირი უნდა გვქონდეს, სხვანაირად ევროპელები ვერ ვიქნებით! — ამას მაგდა, ანუ მაგდანა ბრძანებს.

კაცები უხერხულად ცქმუტავენ, არ ეთანხმებიან ქალებს, რომელთაც ევროპული ცხოვრების ეს წესი არა მარტო მოსწონთ, არამედ საერთოდ მთელი ერისთვის სავალდებულოს ხდიან.

ამ მწუთხე საუბარში აღშფოთებული მაყურებელი ერთვება.

— ქალბატონო მაგდა, თქვენმა ვაჟმა რძლად ვაჟი რომ მოგიყვანოთ, ხოლო გოგონამ ცოლად ვინმე ქალაბიჭა, რა ხასიათზე დადგებით? — ეს აღშფოთებული მაყურებლის კითხვაა.

— ეს კითხვა თქვენც გეკუთვნით, ქალბატონო ბაია? — ეკითხება პატარაიას ქალს(?) სტუდიაში მიწვეული მამაკაცი.

— მერე რა ვუყოთ. თუ ევროპა გვინდა, არც იქაურ წესებზე უნდა ვთქვათ უარი! — სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს პატარაიას ქალი.

— მერე, ჩემო ბაია, ბაიები რომ არ გეყოლებიან? ვაითუ მამაკაც რძალს ერთხელაც სასწაულად აუჩუჩუნდა და შენკენ გამოიხედა, რას იზამ ასეთ დროს?

— თქვენ ძალიან ბინძურად ხატავთ ამ წმინდა ადამიანურ საქმეს, — ცოტა არ იყოს სიმშვიდეს კარგავს ადამიანის უფლებათა ვაიდამცველი ბაია.

— ჩვენი მამაკაცები ჩამორჩენილები ხართ, რაღა დროს დრომოჭმული ქართული ტრადიციებია? — ბაიას მხარს უჭერს მაგდა, ანუ მაგდანა, რომლის დიღმელ სეხნიასაც კარგი კოხტა შვილების გარდა, პატარა ჩოკინაც ჰყავდა, სახელად ლურჯა.

სულგანათლებულ ეკატერინე გაბაშვილს, არა მარტო ადამიანის უფლებების დაცვა, არამედ თვით პირუტყვის უფლებების დაცვაც ადამიანის ერთ-ერთ აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა. ხოლო გაპირუტყვებული ადამიანი, რომელმაც შვილების მარჩენალი ჩოკინა ლურჯა წაჰგვარა, ადამიანისშვილად არ მიაჩნდა. მერედა განა ცამდე მართალი არ იყო მწერალი, ქვეყანას კარგ წიგნებთან ერთად კარგი შვილებიც რომ დაუტოვა. ჰაი, ჰაი, რომ მეცხრე ცამდე იყო მართალი და იმ საღამოს გაუკუღმართებული ცხოვრების წესის დამცველი ბაია პატარაიასა და მაგდანა ანიკაშვილისთვის რომ მოესმინა, ალბათ, 21-ე საუკუნიდან ისევ მე-19 საუკუნეში გადაცხოვრებას ინატრებდა, როცა, როგორც საქართველოს ხანგრძელი არსებობის მთელ მანძილზე ქორწინება ყოველთვის ქალისა და მამაკაცის შეუღლებას ნიშნავდა... და ცოტანი ვიყავით თუ ბევრნი, მაინც ვმრავლდებოდით. ასე მოვედით დღემდე. ზნეობა ქართველი ადამიანისთვის მუდამ ცხოვრების უმთავრესი წესი იყო და, რასაკვირველია, ჩვენს კონსტიტუციაში ამ ადგილას სხვა გრაფა არც არასოდეს არ ჩაიწერება, თუნდაც მარტო ევროპა კი არა, სრულიად დედამიწად წოდებული პლანეტამაც რომ მოითხოვოს ამ გრაფის შეცვლა.

გაუკუღმართებული ადამიანები ყოველთვის იყვნენ ჩვენშიც და სხვაგანაც, მაგრამ ისინი ნიადაგ ერიდებოდნენ მზის შუქს როგორც ცხოვრების ბუნებრივი მდინარების საწინააღმდეგოდ მავალნი. იყვნენ ბატონო, როგორც „ცრუსთავი-2“-ის ცრუ გენერალურმა დირექტორმა გვარამიამ ბრძანა, ღმერთმა ყველას მშვიდობაში მოახმაროს თავისი ყველა ორგანო და პირველ რიგში ტაკუნები, ოღონდ ჩვენ, დანარჩენებს, ნამდვილ კაცებსა და ქალებს, დაგვანებონ თავი... ნამდვილად არ უნდა გაგიკვირდეს, რომ ესენი მალე პედოფილიის გამართლებასაც მოითხოვენ.

პედოფილიც ხომ ადამიანია! ბაია და მაგდა, როგორც ლამაზ კოჭებში გეტყობათ, ალბათ, იმათი უფლებების დაცვასაც მოითხოვთ. და არის კიდევ ბევრი სექსუალური გაუკუღმართება, ადამიანი ბევრნაირია. იქ, სადაც კანონის ამოქმედებაა საჭირო, უფლებების დაცვაზე ლაპარაკი უბრალოდ უზნეობაა, რომლის გზაც უფსკრულისკენ მიდის...

დასანანია, რომ „მაესტროს“ ორი მშვენიერი ქალბატონისგან ამგვარი ზნედაცემულობის აპოლოგიას ისმენ... და სტუდიაში მყოფი ორი მამაკაცი მაგდანას დაკარგული ლურჯა ჩოკინასავით გაშტერებული უცქერის ერთმანეთს.

აშკარაა, რომ ბაია პატარაია და მაგდა ანიკაშვილი, როგორც ოცდამეერთე საუკუნის ადამიანები, ევროპისკენ მიმავალი ამ გზიდან არ გადაუხვევენ.

მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, ვისაც სულ სხვა დანიშნულების ის ერთი ადგილი საიმსაქმოდ არ გვექავება?!

გურამ წიკლაური.

P. S. და თითქოს შორეულად მომესმის მაგდანას უკვე გავირებული უზრდელი ჩოკინას გაოცებული ყროყინი:

უუუყო! უუყო! უუყო!

და ქურდი სოვდაგრის საპასუხო შეძახილი:

— შენს პატრონს! შენს პატრონს!

თუ ასე გაგრძელდა საქმე, ჩანს, ასეთ უზნეობის გამომხატველ სურათს მალე ბაიასთან და მაგდანასთან ერთად შეევესწრებით. და უკვე ვის სადაც გვენდომება, იქ ჩავიხდით, იქ ვიბუღრავებთ.

გ. წ.

„რუსთავი-2“-ის „სავარაუდო სცენარი“

„რუსთავი-2“ გამოაქვეყნებს გამოკითხვებს, რომელიც იქნება გაყალბებული ლევან თარხნიშვილისა და მისი ცოლის მიერ — ეს განცხადება ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ ფარული აუდიოჩანაწერის კომენტირებისას გააკეთა. კალაძე მიიჩნევს, რომ გადატრიალების შესახებ ძალიან მძიმე განცხადებები მოვისმინეთ, რაშიც „რუსთავი-2“ იარაღადაა გამოყენებული:

„ეს არის ძალიან მძიმე შინაარსის განცხადებები გადატრიალების შესახებ, ამ გადატრიალებაში კონკრეტული ტელევიზიის, „რუსთავი-2“-ის ჩართულობაზე. ისინი იარაღად იყენებენ ტელევიზიას ბნელი ზრახვებისთვის. სავარაუდო სცენარი ასეთია — ალბათ „რუსთავი-2“ გაამოაქვეყნებს გამოკითხვებს, რომელიც იქნება გაყალბებული ლევან თარხნიშვილისა და მისი ცოლის მიერ. კვლევაში იქნება პარტიების რეიტინგები მიცემული, სადაც, ალბათ, „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ გადაუსწრებს ან მცირე განსხვავება იქნება პარტიებს შორის. ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ ნიადაგი მოამზადონ, არჩევნების დღეს, როცა რეალური შედეგები დაიდება, შექმნიან განწყობას, თითქოს გაყალბდა არჩევნები, რადგან „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლებს არ ემთხვევა“, — განაცხადა კალაძემ.

ვისი ბრძანებით დაარბიეს „იმედი“?

„იმედიდან“ ჟურნალისტების გამოძევება ზურაბ ადეიშვილის და ნიკა გვარამიას ერთობლივი ჩართულობით მოხდა, — განაცხადა „ტელეიმედის“ საქმის პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა. მისი თქმით, დაკითხულმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ პირდაპირ ადეიშვილისგან მიიღეს დავალება, მიეხედათ „ტელეიმედისთვის“.

„როდესაც ადეიშვილი გასცემდა „იმედიდან“ ჟურნალისტების გამოძევების და ტელევიზიის დალუქვის დავალებას, ამ პროცესს ესწრებოდა ნიკა გვარამია. სწორედ ადეიშვილის და ნიკა გვარამიას ერთობლივი ჩართულობით მოხდა „იმედიდან“ ჟურნალისტების გამოძევება, ტელევიზიის დალუქვა, ხოლო ლიცენზიის ჩამორთმევა იყო შეთითხნილი მიზეზი. საბოლოოდ დადასტურდა, რომ ეს მითითებები ხდებოდა ადეიშვილის მხრიდან“, — განაცხადა პროკურორმა.

პროკურორი აცხადებს, რომ ამ გეგმის შესახებ იცოდნენ მაშინდელმა მაღალჩინოსნებმა და ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

◎ ეკოლოგია

უწვრილესი ნაწილაკი უძახე შენ და...

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, პლანეტის მკვიდრთა 92 % ცხოვრობს გარემოში, სადაც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ორგანიზაციის მიერ დაწესებულ ზედა ზღვარს აღემატება.

ამ ორგანიზაციის ახალი ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მტვერი (მეტნაკლები დოზით) დედამიწაზე მცხოვრები თითქმის ყველა ადამიანის პრობლემაა. ჯანმო მიუთითებს, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, რომელიც დედამიწის მკვიდრთა 92 პროცენტს ემუქრება, ყოველწლიურად სამი მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. 27 სექტემბერს ახალ ანგარიშთან ერთად გამოქვეყნდა საგანგებო რუკა, რომელიც მსოფლიოში არსებულ სურათს რამდენიმე ფერის დახმარებით ასახავს.

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნოე მეგრელიშვილი ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, საერთო მწვავე სურათის ფონზე, რაც ჯანმოს მიერ გამოქვეყნებულ რუკაზეა ასახული, საქართველოს მდგომარეობა საგანგაშოდ ნამდვილად არ გამოიყურება. მართალია, საქართველოს მაჩვენებელი აჭარბებს ჯანმოს მოდელის მიხედვით დაწესებულ ზედა ზღვარს, მაგრამ ეს მაჩვენებლები არ აღემატება აღმოსავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებელს. დაბინძურების წყაროებიდან გამომდინარე, ნოე მეგრელიშვილს არ უკვირს, რომ რუკაზე საგანგებოდ არის აღნიშნული თბილისი და რუსთავი — ქალაქები, სადაც საქართველოს მასშტაბით ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაა:

„ეს რუკა შედგენილია მხოლოდ ერთი სახის დამაბინძურებლის — უწვრილესი ზომის მყარი ნაწილაკის — მიხედვით. ამ ნაწილაკების უმთავრესი წყაროა სამრეწველო სექტორი და, ასევე, მაგალითად, ტრანსპორტის გამონაბოლქვი, მყარი საწვავის მოხმარება და ასე შემდეგ“.

მყარ შეწონილ ნაწილაკებს (PM) ხშირად, უბრალოდ, მტვერს უწოდებენ. უწვრილესად მიიჩნევა 2.5- დიამეტრიანი ნაწილაკები და რაც უფრო მცირეა მყარი ნაწილაკის ზომა, მით უკეთ აღწევს ის ადამიანის ორგანიზმში და, შესაბამისად, უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია. ბევრს გაუკვირდა, რომ ჯანმოს მიერ გამოქვეყნებულ საგანგებო რუკაზე საგანგებოდ არ არის გამოყოფილი, მაგალითად, ზესტაფონი, სადაც, გარემოსდამცველების ინფორმაციით, საკმაოდ ცუდი მდგომარეობაა. ნოე მეგრელიშვილი განგვიმარტავს, რომ ზესტაფონის შემთხვევაში პრობლემას ქმნის მანგანუმის დიოქსიდი, ხოლო ჯანმოს ახალი ანგარიში ამ კონკრეტული ნივთიერების გაზომვას არ ისახავდა მიზნად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ახალ ანგარიშში ასახულ მდგომარეობას საქართველოსთვის საგანგაშოდ არც გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი თამარ ბაგრატია მიიჩნევს. როგორც ის ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, ახალი ანგარიში კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ძველ და არასწორად დაჯამებულ მონაცემებს ეყრდნობოდა საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ ზაფხულში გამოქვეყნებული დასკვნა, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. საუბარია საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ ივნისის ბოლოს გამოქვეყნებულ დასკვნაზე, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2012 წლის მონაცემებს ეყრდნობა და რომლის მიხედვითაც, დაბინძურებული ჰაერის მიზეზით საქართველოში პროცენტულად (100 ათას მოსახლეზე გათვლით) ყველაზე მეტი ადამიანი კვდება. ამ სიის მეორე და მესამე ადგილებზე ბულგარეთი და ჩინეთი გვხვდებიან. როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნოე მეგრელიშვილი ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, იმის გარდა, რომ ზაფხულში გამოქვეყნებული დასკვნა ძველ მონაცემებს ეყრდნობოდა, მასში გათვალისწინებული იყო შენობების შიდა ჰაერის დაბინძურების ფაქტორები და მათგან გამოწვეულ პრობლემები.

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის თამარ ბაგრატიას თქმით, ბოლო პერიოდში საქართველოში საგრძნობლად გაუმჯობესდა და გაძლიერდა ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის სისტემა და ამჟამად გამოკვლევას არაერთი ნივთიერება ექვემდებარება. მონიტორინგის თანახმად, ყველაზე ცუდი მდგომარეობა თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში იკვეთება.

„ეს არის აზოტისა და გოგირდის დიოქსიდები, ნახშირჟანგი, ბენზოლი, მიწისპირა ოზონი, ტყვია — ეს არის ის ძირითადი დამაბინძურებლები, რასაც ჩვენ ვზომავთ. ყველაზე დიდი გადაჭარბება, ჯერადობით, გვაქვს მყარ შეწონილ ნაწილაკებში. თუკი მყარ შეწონილ ნაწილაკებზე (მტვერზე) გვაქვს კონცენტრაციის ორჯერ, სამჯერ თუ ხუთჯერ გადაჭარბება, სხვა ნივთიერებებთან მიმართებაში ეს გადაჭარბებები ორჯერ არ აღემატება დასაშვებ ნორმას“, — უთხრა თამარ ბაგრატიამ რადიო „თავისუფლებას“.

მართალია, ახალ ანგარიშში საქართველოს მაჩვენებელი არ აღემატება აღმოსავლეთ ევროპის საშუალო დაბინძურების მაჩვენებელს, მაგრამ, „მწვანე ალტერნატივის“ ხელმძღვანელის მანანა ქოჩლაძის თქმით, ევროპისგან საქართველო ამ შემთხვევაში იმით განსხვავდება, რომ აქ ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით საკმარისად ეფექტიანი ზომები არ ტარდება. მანანა ქოჩლაძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ადასტურებს იმ ინფორმაციას, რომ სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები საწვავის ხარისხის კონტროლის ჭრილში და, იმედია, მაჩვენებელი მომავალი წლიდან ევროპულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, მაგრამ ბევრი რამ ჯერ ისევ მისახედია:

„აქ პრობლემაა ძველი ავტომობილები, რომლებიც, რაც არ უნდა კარგი ბენზინი ჩაასხა, კატალიზატორები არ არის და ნებისმიერ შემთხვევაში ემისია უფრო დიდი იქნება. გარდა ამისა, პრობლემაა, ასევე, მშენებლობის რეგულირება, რასაც ასევე არ უჩანს სასიკეთო მომავალი. და კიდევ ერთი, ფაქტია, რომ თუკი საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ განვითარდა იმგვარად და ისე არ იქნება დაგეგმილი, რომ შემცირდეს ავტოტრანსპორტის მოხმარება, ზოგადად, ამ შემთხვევაში, როგორც არ უნდა ავამაღლოთ სტანდარტები, ავტომანქანების რაოდენობა სულ უფრო გაიზრდება“.

ბევრი სხვა გარემოსდამცველის მსგავსად, მანანა ქოჩლაძეც ფიქრობს, რომ გადასადგმელი სხვა ნაბიჯების რიგში, მაგალითად, აუცილებლად დასანერგია ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების პრაქტიკა და, ასევე, გარკვეული შეზღუდვებია დასაწესებელი იმპორტირებული ავტომანქანების წლოვანებასთან დაკავშირებით.

ლელა კუნჭულია

◎ ეკონომიკა

წინსვლა არის, მაგრამ მეტია საჭირო!

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველომ პოზიციები 7 ადგილით გაიუმჯობესა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველომ 4,32 ქულით 59-ე ადგილი დაიკავა და შარშანდელთან შედარებით პოზიციები 7 ადგილით გააუმჯობესა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში ნათქვამია, რომ ევრაზიის რეგიონის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები ზოგადად, სტაბილურია, თუმცა რეგიონის ქვეყნების უმრავლესობას საქმე აქვს სირთულეებთან, რაც საქონელზე ფასების ვარდნას, ვალუტის მერყევ კურსს, რუსეთსა და უკრაინაში რეცესიას, ასევე ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას უკავშირდება. ამ შოკებმა გავლენა მოახდინა კონკურენტუნარიანობაზე ორი ძირითადი მიმართულებით: ევრაზიის რეგიონის ყველა ქვეყნების ეკონომიკამ, საქართველოს გარდა, ექსპორტის მოცულობის ვარდნა დააფიქსირა, რამაც მათი ბაზრის საერთო მოცულობა შეამცირა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის თანახმად, ევრაზიის რეგიონში ყველაზე მეტად პოზიციები საქართველომ და ტაჯიკეთმა გააუმჯობესეს.

„როგორც მოსალოდნელია, ორივე ქვეყანაში მშპ დააფიქსირებს 2,5%-ზე მეტ ზრდას 2016 წელს. ეს არის ბოლო ათი წლის განმავლობაში საშუალოზე უფრო დაბალი მაჩვენებელი, მაგრამ უფრო მაღალია ევრაზიის სხვა ქვეყნებთან შედარებით“, — აღნიშნულია ანგარიშში.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის თანახმად, საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის ყველაზე პრობლემურ ფაქტორს შორის პირველი ადგილი უკავია არაკვალიფიციურ მუშა ხელს, მეორე — წვდომას ფინანსებთან, მესამე — ინფლაციას, მეოთხე — არაეფექტურ სახელმწიფო ბიუროკრატიას, მეხუთე კი — ინფრასტრუქტურის არასაკმარის მიწოდებას.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, სომხეთმა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 79-ე, აზერბაიჯანმა 37-ე, თურქეთმა 55-ე, რუსეთმა 43-ე, უკრაინამ 85-ე, მოლდოვამ 100-ე ადგილი დაიკავეს.

რეიტინგში პირველ ადგილზეა შვეიცარია, მეორეზე — სინგაპური, მესამეზე კი — აშშ. პირველ ხუთეულში ასევე მოხვდნენ ნიდერლანდები და გერმანია.

reportiori.ge

◎ სიახლე

ელიფსური „ეშმაკის ბორბალი“

თბილისში ვერტიკალური პარკინგის კონსტრუქციები გამოჩნდება

ქართველი სპეციალისტები ვერტიკალური პარკინგის სისტემის გამოცდას რამდენიმე თვეში ვარაუდობენ — განუცხადა „Sputnik-ს“ პროექტის ხელმძღვანელმა მალხაზ ცისკარიშვილმა. მისი თქმით, იდეა ეხება ავტომობილების განთავსებას არა ჰორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ სივრცეში, რათა ქალაქი ავტომობილებისგან განიმუხტოს, ხელი არ შეეშალოს სხვა მოძრავ ავტომობილებს და არ შეიქმნას საცობები.

„წარმოიდგინეთ „ეშმაკის ბორბალი“ ოღონდ ელიფსურად გაწერილი, რომ ნაკლები სივრცე დაიკავოს. ეს იქნება ლითონის დასაშლელი კონსტრუქცია და ლიფტის სისტემა, ავტომობილი დადგება პლატფორმაზე და სპეციალურ ღილაკზე ხელის დაჭერით ავა ზევით, როდესაც მძღოლს მანქანის დაბრუნება მოუნდება, სპეციალური კოდით შეძლებს ავტმობილის პლატფორმაზე დაშვებას“ — აცხადებს ცისკარიშვილი.

მისივე თქმით, პარკინგის საცდელი ნიმუშის გაკეთება ოქტომბერში დაიწყება და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა, 3-4 თვეში პირველი კონსტრუქციაც გამოჩნდება.

ცისკარიშვილი ამბობს, რომ ასეთი ტიპის პარკინგის სისტემას ევროპაში დიდი ხანია იყენებენ, ქართველმა სპეციალისტებმა შეძლეს და მოწყობილობის შექმნის პატენტის მიღება, რითაც კონსტრუქციის წარმოების უფლებაც მოიპოვეს. მისივე თქმით, საქართველოში დამზადებული ვარიანტი უფრო ჰაეროვანი, მარტივი ტექნოლოგიით და საიმედოობის თვალსაზრისით გაუმჯობესებული იქნება.

პროექტის ავტორი ამბობს, რომ გამომგონებლებს უჭირთ კაპიტალის მოძიება, რადგან არც ერთი ბიზნესმენი სარისკო პროექტში ფულს არ დებს, თუმცა „რაც უფრო დიდია რისკი, დიდია მოგება“, — აცხადებს ცისკარიშვილი. მისივე თქმით, ვერტიკალური პარკირების პროექტს „საპარტნიორო ფონდი“ აფინანსებს. მისივე თქმით, გამომგონებლებს სახელმწიფომ მისცა სტიმული აკეთონ ინტელექტუალური საქმე, რომელიც ქვეყანას გამოადგება.

◎ საბანკო სფერო

ვეშაპების „შერწყმა“

დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო ისტორიაში ყველაზე დიდი გარიგება ცოტა ხნის წინათ შედგა, როცა „თიბისი ჯგუფმა“ და საფრანგეთის ერთ-ერთმა უდიდესმა ბანკმა „სოსიეტე ჟენერალმა“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად „თიბისი ბანკმა“ ფრანგული ბანკისგან ქართული „ბანკ რესპუბლიკის 93,64 პროცენტი შეიძინა. ამ ბანკის აქციების დანარჩენი 6,36 პროცენტი „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს“ ეკუთვნის და მათი შეძენის თაობაზე მოლაპარაკებებს „თიბისი ჯგუფის“ წარმომადგენლები ამჟამად აწარმოებენ.

ეროვნულ საბანკო სექტორში ამ უდიდესი ტრანზაქციის ღირებულება 315 მილიონი ლარია და იგი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სამამულო საფინანსო ბაზარზე. თანხის 70 პროცენტს „თიბისი ბანკი“ ნაღდი ფულით გადაიხდის, დანარჩენ 30 პროცენტს კი – საკუთარი ახლად გამოშვებული აქციებით დაფარავს. ამის შედეგად, ფრანგული „სოსიეტე ჟენერალი“ „თიბისი ბანკის“ აქციების 5,4 პროცენტის მფლობელი და, შესაბამისად, მისი ერთ-ერთი უდიდესი აქციონერი გახდება. ეს იმითაა განპირობებული, რომ „ბანკი რესპუბლიკა“, ისევე, როგორც „თიბისი ბანკი“, საქართველოში უდიდესი კომერციული ბანკების ხუთეულში შედის.

ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ საფინანსო სექტორისთვის ამ უმნიშვნელოვანესმა გარიგებამ არა მარტო საბანკო სფეროს წარმომადგენელთა, არამედ ყველა სხვა დაინტერესებული პირის, ერთიანად საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ყველაზე მეტად კი, ცხადია, საინტერესოა, თუ როგორ აისახება ამ ორი „ვეშაპის“ შერწყმა ეროვნულ საფინანსო ბაზარზე.

ამასთან დაკავშირებით, „თიბისი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა **ვახტანგ ბუცხრიკიძემ**, კერძოდ, აღნიშნა, რომ „ბანკ რესპუბლიკის“ შეძენა სრულ შესაბამისობაშია მათ გრძელვადიან სტრატეგიასთან, რომლის უწინარესი მიზანია არამარტო საქართველოში, არამედ ერთიანად კავკასიის რეგიონში მოწინავე პოზიციების დაკავება. საამისოდ „თიბისი ბანკს“ სათანადო რესურსიც გააჩნია და გამოცდილებაც აქვს, რასაც კიდევ უფრო მეტად გაამდიდრებენ „ბანკ რესპუბლიკის“ კვალიფიციური კადრები.

– საბანკო ბაზარზე კონსოლიდაციის პროცესი უზრუნველყოფს ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებას და მათი სტაბილურობისა და ეფექტიანობის დონის ამაღლებას, – განაცხადა ბატონმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ. – შერწყმის გაერთიანება კლიენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი მომსახურების შეთავაზებასაც განაპირობებს.

ბანკის გენერალურმა დირექტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ ბოლო წლების მანძილზე სამამულო საბანკო სექტორში კონკურენცია სერიოზულადაა გამძაფრებული, რის ყველაზე მკაფიო მაგალითია საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი შემცირება. ეს კი, ბუნებრივია, მოგების მარჟის კლებას იწვევს, რაც ბანკის ეფექტიანობაზე აისახება. მის შესანარჩუნებლად საკმაო რესურსების, მეტი ძალის ფლობაა საჭირო. ეფექტიანობის ზრდა კი, თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთის შემდგომ კლებას შეუწყობს ხელს, რასაც გადამწყვეტი როლი ექნება ქვეყნის სამეწარმეო ძალების განვითარებისთვის, ერთიანად ეკონომიკური წინსვლისთვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ „ბანკი რესპუბლიკა“ ამიერიდან ქართული საბანკო სივრცეს ემშვიდობება და ბრენდ „თიბისი ბანკის“ სახით მოევლინება მომხმარებელს, რომელსაც მარტო დედაქალაქში გაფართოებული ქსელის 170-მდე ფილიალი მოემსახურება.

ოთარ ტურაბელიძე

ევროპაში მგზავრობის ახალი შესაძლებლობები

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მოლოდინთან ერთად საზოგადოებისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანია, თუ რა გზებით მოახერხებენ ისინი ევროპასთან დაკავშირებას და რამდენად ხელმისაწვდომი იქნება ეს მათთვის.

დღეს საქართველოში სამი საერთაშორისო აეროპორტია, რომელთაგან ორი – თბილისი და ბათუმი – ძირითადად საშუალო და მაღალშემოსავლიან მგზავრებზეა გათვლილი. სტუდენტებისა და მათთვის, ვისაც ევროპაში ჩასვლა ნაკლები კომფორტით, მაგრამ ნაკლებ ფასად ურჩევნიათ და, ამასთან, საკუთარი ვიზიტის ადრიანად დაგეგმვაც შეუძლიათ, საუკეთესო არჩევანი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტია.

აეროპორტი დაბალფასიან ფრენებს ემსახურება, რაც ნაკლებ უსაფრთხოს არა, მაგრამ ნაკლებად კომფორტულ მგზავრობას კი ნიშნავს. ბილეთის ფასში მხოლოდ პატარა ზურგჩანთის წაღებას და გზაში კვების გარეშე მგზავრობას შეძლებთ, ევროპულ ქვეყანაში კი არა ქვეყნის მთავარ აეროდრომზე, არამედ მეორე რანგისაზე მოხვდებით, თუმცა სულ 4-5 საათი და ე.წ. გადაჯდომის გარეშე უკვე ევროპის რომელიმე ქალაქში ხართ.

დღემდე საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთ-ერთ ყველაზე კარგად ათვისებული მიმართულება თბილისი-ბუდაპეშტი გახლდათ, თუმცა გასული კვირის მიწურულს გახსნილმა ახალმა რეისებმა იაფი მგზავრობის მოყვარულთათვის ახალი შესაძლებლობები გააჩინა.

ადრიანად დაჯავშნის შემთხვევაში, ფრენების ფასი გერმანიის, იტალიის, საბერძნეთის, ბულგარეთისა და კვიპროსის მიმართულებით 9.99 ევროდან იწყება.

უკვე 23 სექტემბერს ბერლინის რეისზე ქუთაისიდან 161 ადამიანი გაფრინდა, ხოლო 133 ჩამოფრინდა, მიუნხენის რეისზე კი გაფრინდა 139 და ჩამოფრინდა 141 ადამიანი.

დაბალბიუჯეტიანი უნგრული ავიაკომპანია Wizz Air რეგულარულ საჰაერო მიმოსვლას ქუთაისის აეროპორტიდან შემდეგი ახალი მიმართულებებით შეასრულებს: ბერლინი, დორტმუნდი, მიუნხენი, ლარნაკა, მილანი, სოფია და სალონიკი. აქედან, ბერლინსა და მიუნხენში, მემინგენის აეროპორტში ფრენები 23 სექტემბრიდან დაიწყო, სალონიკში, ლარნაკასა და სოფიაში – 24 სექტემბრიდან, ხოლო მილანსა და დორტმუნდში 25 სექტემბრიდან.

რაც შეეხება მგზავრობის საფასურს, ბილეთის ფასი ბერლინის მიმართულებით – 24.99 ევროდან, დორტმუნდში – 14.99 ევროდან, ლარნაკაში – 9.99 ევროდან, მილანში – 14.99 ევროდან, მიუნხენში – 19.99 ევროდან, სოფიაში – 9.99 ევროდან, ხოლო სალონიკის მიმართულებით 14.99 ევროდან დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ ამ ფასად „ვიზეარი“ უკვე ახორციელებდა ფრენებს ევროპის ოთხი მიმართულებით: კატოვიცე (პოლონეთი), ვილნიუსი (ლიტვა), ბუდაპეშტი (უნგრეთი) და ვარშავა (პოლონეთი).

აღნიშნული მიმართულებით შესრულებული რეისებით 2014 წელს ვილნიუსში – 22 198 ადამიანმა, კატოვიცეში – 21 047-მა, ბუდაპეშტში – 6 948-მა, ხოლო ვარშავაში 32 840 ადამიანმა იმგზავრა. 2015 წელს კი ვილნიუსში – 27 671 ადამიანი, კატოვიცეში – 16 842, ბუდაპეშტში – 31 024, ხოლო ვარშავაში 24 927ადამიანი გაფრინდა.

რაც შეეხება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა ნაკადს, ასე გამოიყურება: 2011 წელი – 4 527 მგზავრი; 2012 – 12 974; 2013 – 187 939; 2014 – 218 003 მგზავრი; 2015 - 182 954, ხოლო 2016 წელს, იანვარ-ივნისის მონაცემებით, 94 644 ადამიანმა იმგზავრა.

გია ლორთქიფანიძეს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს გია ლორთქიფანიძეს 26 მაისის აქციის დარბევის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. პატიმრობის ვადის ათვლა, ბრალდებულის დაკავების მომენტიდან აითვლება. წინა სასამართლო სხდომა კი 12 ნოემბერს, 11:00 საათზე ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ 26 მაისის საქმეზე ბრალდებულ გია ლორთქიფანიძის ადვოკატმა გუშინდელ პროცესზე ბრალდებულის წერილი წაიკითხა, სადაც ყოფილი მაღალჩინოსანი წერს, რომ 15 ოქტომბერს ის შვებულებას აიღებს და საქართველოში ჩამოვა. ადვოკატმა მოსამართლეს მტკიცებულებად საქართველოს მიმართულებით 15 ოქტომბრისთვის ნაყიდი ავიაბილეთიც წარუდგინა.

ყოფილი პატიმარი სააკაშვილის, რულოვსის, კალმახელიძის, შაშკინისა და ლომაიას წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს

ყოფილი პატიმარი ალექსანდრე ახალკაცი სანდრა რულოვსის, მიხეილ სააკაშვილის, ხათუნა კალმახელიძის, დიმიტრი შაშკინისა და კახა ლომაიას წინააღმდეგ პროკურატურაში ჩვენებას მისცემს. ახალკაცი ამ დროისთვის უკვე პროკურატურაში იმყოფება.

„წიგნი, რომელიც მე ციხეში ყოფნის დროს დავწერე, არის ერთ-ერთი მხილების ფორმა. სისტემური დანაშაული, რომელიც ჩემს წინააღმდეგ განახორციელდა მიხეილ საკაშვილიდან დაწყებული, კალმახელიძით, ლომაიასა და შაშკინით დამთავრებული. ბუნებრივია, პრეზიდენტი იყო ამ ყველაფრის თავი და თავი, რომლის დაკვეთითაც უნდა მომხდარიყო ჩემი ფიზიკური ლიკვიდაცია. სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში მივცემ ჩვენებებს. პრინციპში ჩემი წიგნიც, რომელიც ციხეში დავწერე 2010 წელს, თავად არის ჩვენება. ეს დოკუმენტურად დადასტურებულ ფაქტებზე დაყრდნობით არის დაწერილი. გარდა ამისა, ალბათ, ეს იქნება პირველი ფაქტი სანდრა რულოვსის წინააღმდეგ დანაშაულებრივი სქემის შესახებ ჩვენებისას. ეს ქალბატონი თანხებს შოულობდა „წითელი ჯვრის“ საშუალებით. ეს ეხება ტუბერკულოზის მედიკამენტების სქემას, რომლის შესახებ მე დადასტურებული ინფორმაცია მაქვს. მე დარწმუნებული ვარ, პროკურატურა მყისიერ რეაგირებას მოახდენს“, – აღნიშნა ახალკაცმა პორკურატურაში.

მისივე თქმით, ეს არის სქემა, როდესაც მიზანმიმართულად ხდებოდა პატიმრებში, ტუბდისპანსერში „დოცის“ პროგრამაში წამლების შეწყვეტა, შემდეგ აქედან გამომდინარე ეს პატიმრები ხდებოდნენ რეზისტენტულები.

მისივე თქმით, როდესაც ეს ყველაფერი ხდებოდა, თავად სასჯელს იხდიდა და უშუალოდ აქვს ნანახი ყველა ფაქტი.

„ტუბდისპანსერში მამყოფეს 2 წელიწადზე მეტხანს. აქედან გამომდინარე ვიყავი ყველა იმ ფაქტის მომსწრე. ასევე, არიან ადამიანებიც, რომლებიც მზად არიან, მისცენ ჩვენებები. მე დღესვე მოვყვები ყველა იქ ნანახ დანაშაულზე. მაგალითად, ხათუნა კალმახელიძეზე, ორჯერ პირადად დაესწრო ჩემს წამებას. იმედი მაქვს, ყველა მათგანი სათანადოდ დაისჯება“, -აღნიშნა ახალკაცმა.

შსს-მ ხულიგნობის ბრალდებით 11 პირი დააკავა

„მიმდინარე წლის 27 სექტემბერს მოძრაობა „ქართული ძალის“ აქტივისტებმა გამართეს არასანქცირებული მსვლელობა თბილისში, გმირთა მოედნიდან მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიის მიმართულებით.

მსვლელობის მონაწილეები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აგრესიით, შეურაცხყოფას აყენებდნენ მოქალაქეებს, ისროდნენ მაშხალებს სავაჭრო ობიექტებსა და კაფეებში, აზიანებდნენ წარწერებსა და ბანერებს.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იქნა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. სამართალდამცველებმა არასანქცირებული, აგრესიული მსვლელობა დაშალეს და აღმაშენებლის გამზირზე, ხულიგნობის ბრალდებით, 11 პირი დააკავეს.

გოდება სანგრებთან

ჟურნალისტის ნანახი და განცდილი

რომელიღაც რუსული გაზეთი ქუჩაში დაეგდო ვიღაცას. ბაგრამიანის სახელობის „ბრიგადის“ მეთაურს მადლობას უხდიდა „აფხაზეთის მთავრობა“...

ბატონ ვლადიმერს თავისი სატირალი ჰქონდა:

— სიკოჩი, რაცხა კარგს არ მიგრძნობს გულიო, აიჩემა ბოლო ხანებში მეუღლემ, ლეთოდიანის ქალი იყო, უბედური! ლეთოდიანები მეტწილად ოქტომბერში ცხოვრობენ... სოფელია ასეთი... ერთი ქალიშვილი გვყავდა... თალიკო ერქვა! ანგელოზს ჰგავდა, მარა ცოტა ვერ იყო კარგად, ტვინის ანთებით გაგვიხდა ავად ბავშვობაში... წავიყვან თალიკოს და წავალო... ათასი ოხერი და მუდრეგი დაიარება ამ ზღვისპირსო. ის კი არა, შენც წამოდიო. ძმის ოჯახში ვიყოთ, იქ შედარებით სიმშვიდეაო. რძალიც ავადმყოფობს, მასაც წავადგებით ცოტასო!... მართალი იყო, მარა ოჯახის მიტოვება არ მინდოდა... ისინი კი გავუშვი... მერე არც მინახავს!... ვავა ჩქიმი ცოდა!... საფლავიც არა აქვთ თორემ, ვინ იტყოდა რამეს... ჩემი ცოლისძმის ბიჭები ორივენი იბრძოდნენ, მარა „ისინი“ მაინც სტუმრობდნენ ამ ოჯახს. სვამდნენ, ჭამდნენ. თითქოსდა არაფერი არ უნდა მომხდარიყო, მარა... ჩემი დაქცევის წინადღეს ჩემი ცოლისძმის ორივე ვაჟი დაიღუპა, თურმე. დაიღუპნენ, მაგრამ როგორც ამბობდნენ, ოცი თუ ოცდახუთიც გაიყოლეს თან... ეტყობა, აი, ეს არ აპატიეს ლეთოდიანებს... შუადღისას შემოსევიან ოჯახს. ბეტეერებით, ტანკებით, ოხრობითა და ჯანდაბით, და ჩემი თალიკო შეეგება წინ, იფიქრა, ალბათ, ისევ სადილად თუ მოვიდნენო, მარა... ერთი მიაკივლა, მეტი ვერ მოასწრო საცოდავმა, თურმე... ავტომატით დაცხრილეს... ახლა დედამისი გამოენთო... ისიც იქვე დახვრიტეს. მერე შინ შეცვივდნენ, თურმე, იქ ლოგინად ჩავარდნილი რძალი იწვა... ლოგინშივე დაუხლია ავტომატი... მას მისი ანგელოზივით რძალიც მიაყოლეს... მერე სახლს ცეცხლი წაუკიდეს და სანამ არ დაიფერფლა, ფეხი არ მოუცვლიათ თურმე...

მე ოცი დღის შემდეგ გავიგე... რა მექნა? ადამიანი თავისით არ კვდება თურმე, თუ მისმა ჟამმა არ დაუკაკუნა... რას გაუძლო ამ ჩემმა უბედურმა გულმა! 79 წლის ვარ და არ მეგონა თუ ვიცოცხლებდი ამისი მომსწრე... ვეცადე, ჰაი, აქეთ, ჰაი, იქით, მარა არაფერი გამოვიდა... ვერც დავასაფლავე ადამიანურად! ვცოცხლობ მაინც! სიცოცხლე ჰქვიან ამას?... ახლა ვარ აგერ ა, თბილისში... და ისიც არ ვიცი, რატომ ვარ აქაც, ან როდემდე?!

...„რუსის ჯარის“ მიერ მიტოვებული, კედლადღა დარჩენილი შენობის ერთი ფარღალალა ოთახიდან გვიან ღამით გამოვედი. ბატონმა ვლადიმერმა არ დამიჯერა და ტრასამდე გამომაცილა, — უნდა გაგაცილოო, მთხოვა. სულს გადავაყოლებ, ცოტას გავივლი... ამ ბოლო ხანებში მარტოობის მეშინიაო, რაღაც...

— კიდევ გინახულებთ, ბატონო ვლადიმერ!..

— მადლია შვილო... შემომიარეთ... მალე შემომიარეთ, მალე, თორემ ამ ბინიდანაც გამასახლებენ და ვინ იცის, როდის შევხვდებით მერე... შევხვდებით კი?! ისე აირია ქვეყანა... რა ვიცი!

ღამისა და კედრის ხეების მრუმეში ნელა მიაბიჯებდა საკუთარ სახლ-კარს მოწყვეტილი, ოჯახამოწყვეტილი კაცი და ბატონ ლევან გოთუას სტრიქონები გამახსენდა ანაზდად:

„ჩუმად, უსიტყვოდ ვიდოდნენ უცხო მხარეში ამგზავრებული ქართველები!...“

* * *

მას შემდეგ არ მინახავს ბატონი ვლადიმერი. მივლინებიდან დაბრუნებულმა კვლავ მივაკითხე მისამართზე, მაგრამ... ვერავინ მითხრა საით წავიდა! ერთადერთი ეს მითხრეს, — ნათესავებმა წაიყვანესო!

მივლინების მარშრუტი კი ანაკლიიდან სვანეთის მთებამდე გადიოდა. ეს იყო „აქეთა მხარის“ კიდევ ერთი სამარცხვინო დამარცხების დღეებში, რომელსაც „1998 წლის მაისის მოვლენები“ შეარქვეს ქართველმა „ბედოვლათმა მთავარსარდლებმა“ და რომელმაც რამდენიმე ჭაბუკის სიცოცხლესთან ერთად შერიგების ბეწვის ხიდზე გამავალი იმედის რწმენაც წარიტანა თან!!!

გამგზავრების წინ მივლინების ბარათთან ერთად, ხელმძღვანელებმა მკაცრი ბრძანება გამომატანეს: „დაძაბული სიტუაციის გამო“ ნაბიჯი არ უნდა წამცდენოდა ენგურს გაღმა!

მაგრამ იყო მეორე „მე“, რომელმაც ასეთი სიტყვა მისცა საკუთარ თავს:

„ჯერ აქეთა სანგრებიდან დავიწყებ, მერე იქითაც გადავალ!

დიახაც, რომ გადავალ!“

ვიცი, მიმიღებენ აფხაზები, რადგან წინაპართა მოწიწების წინაშე ავტომატები ვერ იწივლებენ, საშინელ ამბავთა მოთხრობისას ქვემეხებიც დადუმდებიან და სანგრის აქეთაც და სანგრის იქითაც სისასტიკე გონიერებას დაუთმობს სარბიელს!

იქითაც გადავალ და ყურს მივაპყრობ გოდებას მათსას!

* * *

... **ხურჩაში** პატარა ღელე ჩამოედინება. თუმცა ღელეც არ ეთქმის, — ენგურს გამოქცეული პაწაწკინტელა ფშანია და მასზე, როგორც იტყვიან, აკვნის ბავშვიც ისე გადაივლის, რომ ფეხსაც არ დაისველებს.

ხურჩა ზუგდიდის რაიონის ენგურს გადაღმა სოფელია. ამ ღელის გაღმა კი ნაბაკევია, გალის რაიონის სოფელი. იყო დრო, ამ ხევს ვერც ამჩნევდნენ ხურჩელები და ნაბაკეველები. ერთად ცხოვრობდნენ, ერთ კეცზე ცხვებოდა მათი ჭირისა და ლხინის ჭვიშტარი და ასე ამბობდნენ კიდეც: — ერთნი ვართ ხურჩელები და ნაბაკეველებიო.

დღეს კი ხევს გადაღმა შაშვის გადაფრენაც საშიშია შაშვისთვის, და ვაი, რომ, ადამიანისთვის ხომ, მით უმეტეს! ნაბაკეველები ხურჩელებს შეჰფარვიან და აქედან უყურებენ, როგორ იწვის მათი ნაშრომ-ნაჯაფი...

ღელის გაღმა, თითქოს განგებ მოაწყვესო დეკორაცია, — უღრანი ტყეა, კოლხური ტყე-ბარდი. აქეთ კი, ნალოლიავები ეზო-კარია, ერთი, ორი... ათი, მაგრამ უმეტესობა მათგანში არავინ ცხოვრობს.

„ფრონტის ხაზი“ აქ გადის, აქ დგანან შინაგანი ჯარის ბიჭები, — გაღმა „ისინი“ არიან, გამოღმა „ჩვენ“...

„კალაშნიკოვები“, „აკაემები“, „აკაესები“, ხანდახან ნაღმტყორცნებიც, — სხეპენ ხეთა კენწეროებს და ამ „სხეპვას“ კარგა ხანია მიეჩვივნენ ხურჩელები. ეგ არაფერი — მაღლა ნასროლი ტყვიები, მხოლოდ ცას ღარავენ იარებად, ჩვენს ცას, მრავალგზის ნაიარევს და დაკოდილს, ბევრის ამტან და მომსწრე ქართულ ცას, მაგრამ ღამის უკუნეთში ხეთა კენწეროებიდან დაბლა „ჩამოდის“ სიკვდილის მოციქული და მაშინ იღვრება სისხლი... და ასე მგონია, ტყვიაზე მეტად ქართველთა და აფხაზთა შორის დაკარგული ნდობა ღვრის მას!

ასეა შამგონაში, ასეა ტყაიაში, ასეა ფახულანში, ასეა წყოუშში, ასეა ქალაღალში, და ათობით დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვს ყოველდღე, ბალღამივით ემატება თითო-ოროლა!..

... ზუგდიდში კოლხური გვიანი ღამე თვლემდა. სადღაც, სამხრეთ-დასავლეთით, ზღვა ლოკავდა ნაპირს. შორიდან კვლავ კანტიკუნტად ისმოდა „კალაშნიკოვების“ კაკანი.

... ერთი კვირის წინ გაგზავნილი „საიდუმლო ბარათის“ პასუხი მივიღე, — ზეგ, შუაღამისას ოყორანეს სამანებში მელოდებოდა ბაგრატ ბიძი!

* * *

— „ჰეი, ვარა!!!“ — ოყორანეს უფსკრულები ააჩქამა ფრთხილმა შეძახილმა, კვერნამ თუ მელაკუდამ გაიშლიგინა წყავის უგურყელში.

— ჰეი, ვარა! მშვიდობა ცასა და მიწას!... შენ იქნები, ნამდვილად, სხვა ვინ შემოვიდოდა ამ წკარამში ამ დროს, მორდუ...

— მე გახლავართ, ლალა!...

— მადლობა მაღალ ღმერთს, კიდევ მეღირსა შენი ხილვა!...

ოხაჩქუეს მთა დაგვყურებდა თავთ და უღრანი ტყის ალიონში ჯერ ისევ ლანდად თუ გაარჩევდა კაცი კაცს...

მერე აღმოსავლეთი შებაცდა, თანდათანობით ამოგორდა მნათობი დიდებული და ციცაბოებს ამგზავრებულთ თაკარა სხივთა გნიასით ამოგვწია.

— ხომ არ დაიღალე, წიე?..

— სირცხვილია, ბაგრატ ბიძი, მაგი რომ გავამხილო...

— რატომ, ვითომ?

— თქვენ სქვერივით (შველივით) მიუყვებით ამ უგზოობას და მე...

იცინის ბაგრატ ბიძია და მკერდზე დაფენილ სპეტაკ წვერზე ირეკლება ვერცხლი.

ოყორანეს ნასოფლარი კარგა ხანია ქვემოთ დავტოვეთ.

— საბერიოდან უფრო მოკლეა გზა, მაგრამ იქ მილიცია დგას და...

— ლეკუხონადან გადმოვედი თქვენთან შესახვედრად ბიძი...

გაიოცა!

— რამ გაფიქრებინა ეს? გეხანგიო, ბაბა? (გაგიჟდი, ბაბა!)

— რატომ, ვითომ? — თავისივე კითხვა გავუმეორე.

— იქ, ხომ?..

— კი, მასე იყო... იქაც აფხაზი მილიციელები იყვნენ... 30-მდე იქნებოდნენ... სულ ბღარტები!

— უფროსები არ გინახავს?

— იყვნენ, კი... იმათ „ფორმა“ არ ეცვათ, მშობლები არიანო, მითხრეს...

— სახლში გარბიან „ბავშვები“ და, რომ არ გაიქცნენ, მშობლები ჩაუყენესო ზურგში...

ქალაღალისა და ლეკუხონას სანგრებში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ აფხაზები და ქართველები...

ქართველები და აფხაზები!...

ასე იტყოდა საქართველოს ეროვნული გმირი და უპირველესი მამულიშვილი ჟიული შარტავა: — აფხაზები და ქართველებიო, ქართველები და აფხაზებიო! ორივე უპირველესი იყო მისთვის და პირველად ერთს რომ დაასახელებდა უპირველესად, მეორედ მეორეს იტყოდა პირველს, რომ ხაზი გაესვა მათ ერთარსებაზე.

...დღეს ენგურის ნაპირებთან ერთმანეთის პირისპირ დგანან ქართველები და აფხაზები, აფხაზები და ქართველები.

ტყაიას კაშხალთანაც ასე დგანან, გაღმა-გამოღმა!.

ვიღაც კაპიტანმა ადლეიბამ წერილი გამოაგზავნა გამოღმა, — უბრალო ხალხს არ სურს ომი. მოდი ჩვენ, სამხედროებმა, დავიწყოთო შერიგება... გაიხარეს გამოღმაც, მაგრამ... ხალხს ვინ ჰკითხავდა ამას, სამწუხაროდ!

— ნეტავი მაცოდინა, ვის უნდა ყველაფერი ეს?! — კოლხეთს გადაჰყურებს ახლა ბაგრატ ბიძი და ორივეს ბოღმა მოგვწოლია გულზე.

— ვაი, ჩვენს თავს უბედურს! — სათანჯოსთან აღმართულ ბასტიონს მივამსგავსე ჩემს წინ მდგარი ბერმუხა.

დიდხანს ასე იდგა, ბაგრატ ბიძი გარინდებული.

— ბებია იყო ლეკუხონადან, ჩემი... დასაფლავებულიც იქაა... გოგოხიას ქალი იყო...

— მგონი მახსოვს მეც...

— არა, არ გემახსოვრება შენ, თუმცა... ხანდახან, ათასჯერ მონაყოლითაც იმახსოვრებ ადამიანი ბევრ რამეს, მერე ისე ჩაგებეჭდება გონებაში, რომ გგონია მინახავს და ვიციო...

— შეიძლება!... ის კი ნამდვილად მახსოვს, ვალიკო ბიძია რომ ჩამოვიდა 46-ში ჯარიდან და მოსალოცად ცხენებზე ამხედრებულები რომ ჩამობრძანდით ჯვარში...

— მაგი გემახსოვრება!... ვალიკოს და მე ერთი ძუძუ გვაქვს ნაწოვი... დედაჩემს შვილებში არ ჰყავდა გამორჩეული და აბა, რას ვიზამდით?... თერთმეტი ბედაურით ჩამოვედით ათი მხედარი...

— მერე, კაი ხანი ჰყავდა ვალიკო ბიძიას „კვარკვანტია“, ბაგრატის ნაჩუქარიაო და მათრახსაც არ აკარებდა...

— ძაძამიების მოჭედილი იყო უნაგირ-მოსართავები, სხვანაირს ვერც ვაკადრებდით ერთმანეთს... ახლა კი... ეეჰ, ცოცხალი რომ იყოს ვალერიანე...

და ამ „ახლა კიმ“ სისხლი გაგვიყინა ძარღვებში!

შინდისფერ ჩოხა-ახალუხში მახსოვდა ბაგრატ ბიძი ბავშვობიდან. წელზე საუკეთესო ქამარ-ხანჯალს მოიკვართავდა და მთაკაცად აღმართული დადიოდა. ახლა კი, ოდნავ მოხრილიყო მხრებში და კუნაპეტივით შავი ქულაჯიდან ასეთივე ახალუხი მოუჩანდა, მარცხენა მხართან ღილკავებით გაწყობილი და ნიკაპამდე შეკრული. ასეთს მგლოვიარენი იცვამდნენ აფხაზეთში და სამეგრელოში!

— ახლა, რა ქენი იცი?... ცოტახანი აქ მოისვენე... მე იქით, მიკე, მცირე საგზალი მაქვს შენახული, ამოვიტან და წავიხემსოთ, თორემ შიმშილით ხომ არ მოგკლავ, კაცო!.. — მითხრა ბაგრატ ბიძიმ და ნაძვნარს გაუყვა განზე.

უკვე „კაცი“ მიწოდა ბაგრატ ბიძიმ და, რამხელა ამბავი იყო ეს!!!

...ერთ ფეხს აქ ადგამდა, მეორეს — იქ! — მგლის ბიჯს ვეძახით ასეთ სიარულს ქართველები.

ახლა ენგურს გაღმა იყო ჩემი სამეგრელო, ენგურს გამოღმა — ჩემი აფხაზეთი!

მათ შორის კი უზარმაზარი სევდა და შავი ახალუხი გაფენილიყო!

ფიქრები ორიოდე თვის წინ, ენგურს გაღმა ჩემი პირველი „შეპარვისას“ ჩანაწერ აუდიო „უბის წიგნაკს“ დაუბრუნდა:

„შვილო ანუკი! მოგიკითხავ შენი ბაბუა... გახსოვარ ვითომ?... შენ თუ კარგად ხარ, შენ თუ კარგად მეყოლები... რამდენი ხანია არ მინახიხარ, შვილო და... ნუ გეშინია, მე და ბებიაშენი კარგად ვართ... ნუ გეშინია... დედიკოს და მამიკოს აკოცე... იქაურ ბებიას და ბაბუას აკოცე... ჩემს ჯიჯიკოს უთხარი, რომ...

— ნუ აატირე ბავშვები, კაცო... შემოევლოთ მაგათ, ბებია!...

— დანარჩენი... ბაბუ, ხომ გენატრებით?... ჩვენც გვენატრებით, ძალიან გვენატრებით, ბაბუ... ჰო... გვენატრებით!... მარა ნუ გეშინიათ, ყოველთვის ასე არ იქნება. ან ჩვენ გვექნება წამოსვლის საშუალება, ან თქვენ ჩამოხვალთ, აბა, რა იქნება? ნუ გეშინიათ, ნურაფრის!... ბებია კარგად არის... ხომ გესმით, როგორ გეფერებათ?... ნუ გეშინიათ... აბა, როგორ? განა ასე უპატრონოდ ჩაგვტოვებენ აქ...

ზაურ ფიფია.
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №179-180

◎ ჩვენი კარაბადინი

დაიცავით თქვენი გული

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის სიკვდილიანობის სტრუქტურაში, გულის სისხლძარღვთა დაავადებებს 50 პროცენტზე მეტი უკავიათ.

მედიკოსების განცხადებით, 65 წლამდე წარმოშობილი გულის სისხლძარღვების ნებისმიერი დაავადების (გარდა თანდაყოლილი მძიმე პათოლოგიებისა) თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია. თუმცა კი ისიცაა, რომ საიმისოდ, რომ ჯანმრთელი დარჩეთ, გარკვეული ძალისხმევაა საჭირო.

ათეროსკლეროზის განვითარება ძალიან ადრეულ ასაკში იწყება. სისხლძარღვთა კედლებზე ლიპიდური ლაქები ბევრ ახალგაზრდას აქვს, თუმცა კი ამის პირველი კლინიკური ნიშნები შესაძლოა, წლების, ათწლეულების შემდეგაც კი გამოჩნდეს. თუ ამ ხნის მანძილზე კაცი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს, 40-50 წლის ასაკში მან მოულოდნელად შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მისი სისხლძარღვები ქოლესტერინის ბალთებითაა გამოტენილი, გული კი კატასტროფის ზღვარზეა მისული. არადა, ყველა პრობლემისთვის თავის არიდება სავსებით მარტივად იყო შესაძლებელი ცხოვრების წესის შეცვლით.

თავდაპირველად თამბაქოს ბოლს უნდა მოერიდოთ — ნურც თავად მოწევთ და მწეველებსაც გაეცალეთ. მეორე: იყავით ფიზიკურად აქტიური, ეცადეთ, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით თავი ფიზიკურად დაიტვირთოთ. საამისოდ შეგიძლიათ სულაც საშუალოზე სწრაფი ტემპით იაროთ. და, რაღა თქმა უნდა, ყურადღება მიაქციეთ კვებას. დადასტურებულია, რომ ყოველდღიურად არანაკლებ 500 გრამი ხილისა და ბოსტნეულის მოხმარება ინფარქტის საფრთხეს მნიშვნელოვნად ამცირებს. ამის გარდა, აუცილებელია შეამციროთ გაჯერებული ცხიმების მოხმარება, ანუ არ მიეძალოთ კარაქს, ძეხვს, ლორს, ღორის ხორცს. თევზი კი კვირაში 3-4 დღეს მაინც უნდა მიირთვათ.

ყველაფერთან ერთად, აუცილებელია გახსოვდეთ, რომ, ფართოდ გავრცელებული მითის მიუხედავად, დროის წაღმა შეტრიალება და შელახული ჯანმრთელობის დაბრუნება, თითქმის შეუძლებელია. სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულიცაა: **თუ კაცი თამბაქოს ეწეოდა, მერე კი თავი დაანება, ამ შემთხვევაში მიოკარდის ინფარქის მიღების რისკი საერთოდ არამწეველი კაცის დონემდე მხოლოდ 3-5 წლის შემდეგ დადის (!!). სხვათა შორის, ეს რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მწეველებსაც ეხებათ, ამდენად, თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა არასდროს გვიან არ არის.**

ბორჯომში სასტუმრო „GOLDEN TULIP BORJOMI“ გაიხსნა

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ბორჯომში, ისტორიულ შენობაში განთავსებული სასტუმრო „Golden Tulip Borjomi“ (ყოფილი „ფირუზა“) გახსნა. სასტუმროს ოპერირებას გაუწევს საერთაშორისო მენეჯმენტ-კომპანია „Golden Tulip“, რომელიც „Louvre Hotels Group“-ის ქსელში შედის.

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა დათვალიერა აღდგენილი სასტუმრო, რომელიც 1892 წელს ირანის კონსულისთვისაა აშენებული და უნიკალური კულტურული ძეგლია არა მხოლოდ საქართველოში. მან მადლობა გადაუხადა ინვესტორ კომპანიას „უორლდფაუნდ იუნივერსალს“ გაწეული საქმიანობისთვის. „Golden Tulip Borjomi“-ის სასტუმრო არის 16-ნომრიანი (2 ლუქსი და 14 სტანდარტული ნომერი). სასტუმროს მომსახურეობებში შევა რესტორანი, ფიტნეს დარბაზი, აუზი, საუნა, საპროცედურო ოთახი, სადაც ჩატარდება მასაჟის გარდა სამკურნალო პროცედურები ბორჯომის მინერალური წყლების გამოყენებით.

ახალი სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობა ჩაქვში

2015-2016 წლებში 21 სახანძრო-სამაშველო შენობის რეაბილიტაცია განხორციელდა და 5 ახალი შენობა აშენდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა დაბა ჩაქვში შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო-სამაშველო ქვეგანყოფილების ახალი შენობა გახსნა.

ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე მერაბ მალანია, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორი ზვიად ქაწაშვილი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე დაესწრნენ. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაბა ჩაქვის ქვეგანყოფილების ახალი, ორსართულიანი შენობა თანამედროვე ინვენტარითა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა. ასევე, განხორციელდა შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. შს მინისტრმა ახალი შენობა, სახანძრო-სამაშველო ტექნიკა, მეხანძრე-მაშველების სრული აღჭურვილობა და ახალი ავტოფარეხები დაათვალიერა.

საქართველოში პირველად, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაცია იწყება

საქართველოში **პირველად, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაცია იწყება, — მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კლინიკა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრი, რომელიც მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის ბაზაზე გაიხსნა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსთან ერთად გახსნა.**

მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კლინიკა ონკოჰემატოლოგიისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრს, სისხლის ბანკს, სხივური თერაპიის ახალ და მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკის დეპარტამენტებს აერთიანებს. კლინიკის ბაზაზე ასევე ამოქმედდა პედიატრიული განყოფილება , ბავშვთა რეანიმაციითა და ბავშვთა ონკოჰემატოლოგიის სამსახურებით.

მთავრობის მეთაურმა, კლინიკის ხელმძღვანელ, პროფესორ გოჩა ინგოროყვასთან ერთად, კლინიკა დაათვალიერა და მოისმინა ინფორმაცია იმ თანამედროვე აპარატურის შესაძლებლობების შესახებ, რომლითაც ცენტრი აღიჭურვა. **„მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში ვნახეთ თანამედროვე აპარატურა, რომელიც ბოლო სიტყვაა ამ მიმართულებით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგად, სტაბილური დაფინანსებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა ასეთი დონის აპარატურის შეძენა. ისრაელთან ერთად, მიმდინარეობს ექიმთა გადამზადების ერთობლივი პროგრამები და ერთობლივად ტარდება ისეთი ოპერაციები, რომლებსაც ადრე საქართველოში არ ატარებდნენ. მაგალითად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში პირველად, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაცია იწყება. ყველა შესაბამისი პირობა ამ კლინიკაში შექმნილია, რაც ძალიან მისასალმებელია, რადგან ჩვენ ხშირად გვიწევდა პაციენტების უცხოეთში გაგზავნა. ამ შემთხვევაში, ჩვენ აღარ მოგვიწევს გაგზავნა და ოპერაციები შესრულდება ქართველი მედიკოსების მიერ, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში, რაც მისასალმებელია“.**

რის შესახებ შეიტყობთ სისხლის საერთო ანალიზით



რისთვის ტარდება

სისხლის **კლინიკურ ანალიზს ექიმები, ფაქტობრივად, ნებისმიერი დიაგნოსტირებისას ნიშნავენ: მსოფლიოში ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ის პრაქტიკულად ყველა მოქალაქეს აქვს ჩატარებული. მისი დანიშვნა სხვადასხვა სპეციალობის ექიმს შეუძლია, რაც კეთდება:**

- სხვადასხვა ინფექციური და ანთებითი დაავადების გამოსავლენად, სავარაუდო დიაგნოზის დასადასტურებლად ან უარყოფად;
- სისხლის დაავადების დიაგნოსტირებისთვის;
- მკურნალობის შერჩეული კურსის ეფექტიანობის გასაკონტროლებლად;
- გეგმური ქირურგიული ჩარევის ან ჰოსპიტალიზაციის წინ ადამიანის მდგომარეობის შესაფასებებლად;

- ბავშვთა, ფეხმძიმე ქალთა პროფილაქტიკური გამოკვლევის მიზნით.

გამოკვლევისთვის სისხლი შეიძლება აიღონ როგორც ვენიდან, ასევე თითიდან, თუმცა კი ამ ბოლო ვარიანტს ამჟამად სულ უფრო ნაკლებად მიმართავენ. მისი ჩაბარება სასურველია უზმოზე, ყოველ შემთხვევაში ჭამიდან 4 საათის შემდეგ მაინც. საჭიროა წინა დღით ფიზიკური დატვირთვისთვის, სტრესებისა და ნერვიულობისთვის, ასევე ალკოჰოლის მიღებისგან თავის შეკავება.

გზა ინფარქტისკენ

იაპონელმა **მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შურიან ხალხში, არამოშურნეებთან შედარებით, გულის შეტევის რისკი 2,5-ჯერ უფრო მაღალია.**

ასევე დადგინდა, რომ შურის გრძნობა თავის ტვინის იმავე უბანში „ცხოვრობს“, რომელიც ტკივილზეა პასუხისმგებელი. მაშასადამე, **რაც უფრო მეტად შურს კაცს, მით უფრო მეტ ტკივილს აყენებს საკუთარ თავს. შური ორგანიზმს ჟანგივით შიგნიდან ჭამს, მის გამო კუნთები მუდმივად დაძაბულია (სწორედ ასე რეაგირებს ორგანიზმი პოტენციურ არაკეთილისმსურველზე და შესაძლო შეტევაზე), აჩქარებს გულისცემას, მაღლა სწევს არტერიულ წნევას, არღვევს საჭმლის მომნელებელ სისტემას.** ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ შურიან ადამიანებს, ჩვეულებრივ, ერთიანად რამდენიმე ავადმყოფობა სჭირს, მათ შორის **ჰიპერტონია, სტენოკარდია, წყლული, გასტრიტი, ქოლეცისტიტი...** გარდა ამისა, ისინი საკუთარი არასრულფასოვნების განცდით ცხოვრობენ. ამას კი, შესაძლოა, ხანგრძლივი **სტრესი** და **დეპრესია** მოყვეს.

თუ გული გიჭვავთ...

მწვავე **კორონარული სინდრომი (მკს) — ასე უწოდებენ ექიმები გულის შეტევას, რომელსაც ავადმყოფი ზოგჯერ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მდგომარეობამდე, მიოკარდის ინფარქტამდე მიჰყავს. რა სიმპტომები აქვს მკს-ს და როგორ უნდა მოვიქცეთ ამ დროს?**

მკს-ის ძირითადი მიზეზია გულის სისხლძარღვში ათეროსკლეროზული ბალთის გაგლეჯა. კატასტროფის ადგილზე უმალ აქტიურდებიან სისხლის ნაწილაკები — ტრომბოციტები, რომლებიც სისხლძარღვის კედელში ნახვრეტს ავსებენ. ამ „საკერებელმა“ — თრომბმა — შეიძლება სისხლის გადინება შეაფერხოს, რის გამო გული ჟანგბადის უკმარისობის განცდას იწყებს, რასაც იშემია ეწოდება. თუკი ჟანგბადის უკმარისობა 20 წუთზე მეტ ხანს გრძელდება, მის ზონაში გულის კუნთის უჯრედები კვდომას იწყებენ, ესე იგი მიოკარდის ინფარქტი ვითარდება, რასაც შესაძლოა ავადმყოფის დაღუპვა მოყვეს.

ამიტომაც ამ დროს ბევრი ფიძრი არ არის საჭირო და დროულად „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადაა გამოსაძახებელი!

რამ უნდა დაგაეჭვოთ: ტკივილმა მკერდის არეში, ჰაერის უკმარისობამ. ცხადია, რაც უფრო ძლიერია ტკივილი, მით უფრო მეტად ჩქარობს კაცი ექიმის გამოძახებას. მაგრამ ტკივილი ყოველთვის ძლიერი არ არის, ამიტომაც, **თუკი დისკომფორტის შეგრძნება 15 წუთს გრძელდება, აუცილებლად გამოუძახეთ ექიმს!**

რის გაკეთება შეიძლება ექიმის მოსვლამდე? მიიღეთ ერთი აბი ასპირინი, ოღონდ ის აუცილებლად დაღეჭეთ, რათა პრეპარატი სისხლში რაც შეიძლება მალე გაიხსნას და მოქმედება დაიწყოს.

რაც უფრო ადრე გაეწევა ავადმყოფს სამედიცინო დახმარება, მით უფრო მეტია გულის კუნთის შეუძცევადი დაზიანებისგან გადარჩენის შანსი. თუკი ავადმყოფს დახმარებას 60 წუთის განმავლობაში გაუწევენ, მისი დაღუპვის ალბათობა საგრძნობლად შემცირდება.

◎ მწვრთნელის ხვედრი

იგი წავა და სხვა მოვა

თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან იურაი იარაბეკი გაათავისუფლა. ამის შესახებ ინფორმაციას კლუბის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი ავრცელებს. 53 წლის სლოვაკი სპეციალისტის დათხოვნის მიზეზი გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგები გახდა.

საქართველოს ჩემპიონს დროებით თამაზ სამხარაძე უხელმძღვანელებს, რომელიც იარაბეკის ასისტენტად მუშაობდა. სწორედ ის გაიყვანს გუნდს 1 ოქტომბერს ეროვნული ჩემპიონატის მატჩში საჩხერის „ჩიხურას“ წინააღმდეგ სათამაშოდ. სამხარაძეს დავით ჭიჭვეიშვილი დაეხმარება. როგორც „დინამოს“ პრესსამსახური იტყობინება, კლუბის ხელმძღვანელობა შექმნილი ვითარების გაანალიზების შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ ვინ უთავკაცებს გუნდს მომავალში.

იურაი იარაბეკი „დინამოს“ მიმდინარე წლის იანვრიდან წვრთნიდა. მართალია გუნდმა მისი ხელმძღვანელობით გასული სეზონი ჩემპიონის რანგში დასრულა და საქართველოს თასიც მოიპოვა, თუმცა, ევროტურნირებზე წარუმატებლად იასპარეზა - ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ზაგრების „დინამოსთან“ დამარცხდა, ევროპის ლიგაზე გადართული კი სალონიკის პაოკს ვერ გაუმკლავდა. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, მიმდინარე სეზონში „დინამომ“ 6 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო, ოთხი ფრედ დასრულა და „თეთრ ჯგუფში“ 10 ქულით მესამე ადგილზეა.

კობა კობახიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს

მოგეხსენებათ, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა ქართული სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული. ამ თემაზე საუბრით ამჯერად თავს არ შეგაწყენთ, თუმცა, მთლადაც ვერ ავუვლით გვერდს.

მოკლედ, თქვენს ყურადღებას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის აუტსაიდერებზე გავამახვილებთ, რომლებზეც, დიახაც რომ ახია ტურისტების იარლიყის მიწებება.

მსჯელობა ზოგადად რომ არ მოგეჩვენოთ, მოდით, გავხსნათ ფრჩხილები და პირდაპირ მოვჭრათ: „ბრიუგე“, „ლეგია“ და ზაგრების „დინამო“, საწყის ორ ტურში განცდილი ფიასკოების გათვალისწინებით, მართლაც არ იმსახურებენ ელიტაში მოხსენიებას, ეს კი, უკვე მერამდენედ, თავისთავად ბადებს კითხვას: მეტისმეტად ხომ არ გაბერა უეფამ ყველაზე პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირის დასკვნითი ეტაპის მონაწილეთა რიცხვი?

რაც შეეხება ბობოლებს, ისინი, ტრადიციისამებრ, წარმატებით განაგრძობენ ქულათა მოგროვებას და, დიდი ალბათობით, კიდევ უფრო ნაღდ თამაშს გაზაფხულზე შემოგვთავაზებენ, როცა პლეიოფები დაიწყება და პრაგმატული ფეხბურთი მეორე პლანზე გადაინაცვლებს.

„ე“ ჯგუფი. ცსკა — „ტოტენჰემი“ 0:1. **გოლი:** სონ პუნგ მინი.

„მონაკო“ — „ლევერკუზენი“ 1:1. **გოლები:** გლიკი; ჩიჩარიტო.

„ვ“ ჯგუფი. „დორტმუნდი“ — „რეალი“ 2:2. **გოლები:** აუბემიანგი, შურლე; რონალ დუ, ვარანი. „სპორტინგი“ — „ლეგია“ 2:0. **გოლები:** რუიზი, დოსტი.

„ზ“ ჯგუფი. „ლესტერი“ — „პორტუ“ 1:0. **გოლი:** სლიმანი. „კოპენჰაგენი“ — „ბრიუგე“ 4:0. **გოლები:** დენსვილი (საკუთარ კარში), დელანეი, სანტანდერი, იორგენსენი.

„თ“ ჯგუფი. „დინამო“ (ზაგრები) — „იუვენტუსი“ 0:4. **გოლები:** პიანიჩი, იგუაინი, დიბალა, ალვეში; „სევილია“ — „ლიონი“ 1:0. **გოლი:** ბენ იადერი.

სატურნირო მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ:

„ე“ ჯგუფი. „მონაკო“ — 4, „ტოტენჰემი“ — 3, „ლევერკუზენი“ — 2, ცსკა — 1 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. „დორტმუნდი“, „რეალი“ — 4-4, „სპორტინგი“ — 3, „ლეგია“ — 0 ქულა.

„ზ“ ჯგუფი. „ლესტერი“ — 6, „კოპენჰაგენი“ — 4, „პორტუ“ — 1, „ბრიუგე“ — 0 ქულა.

„თ“ ჯგუფი. „იუვენტუსი“, „სევილია“ — 4-4, „ლიონი“ — 3, „დინამო“ (ზაგრები) — 0 ქულა.

გიორგი შოთაძე



◎ წილისყრის წინ

„ჯვაროსნები“ მე-4 კალათაში იქნებიან

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრის (22 ნოემბერს, სტამბოლში) დროს მე-4 კალათაში იქნება. ეს ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად არ დადასტურებულა, თუმცა, განთესვის სქემა უკვე გაჩნდა ისლანდიურ და პოლონურ წყაროებში და ის რეალობასთან საკმაოდ ახლოს დგას.

როგორც ირკვევა, საქართველოს ნაკრები მე-4 კალათაში რუსეთთან, სლოვენიასთან და უნგრეთთან ერთად მოხვდება, რაც იმაც ნიშნავს, რომ ევრობასკეტ-2017-ზე ამ გუნდებიდან მეტოქედ ვერცერთი ერგება.

შეგახსენებთ, რომ მომავალი ტურნირი გაისად 31 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე შედგება, მასპინძელი კი 4 ქვეყანა იქნება: თურქეთი, ფინეთი, ისრაელი და რუმინეთი.

ფორუმის ფორმატის თანახმად, ფინალურ ეტაპზე გასული 24 ნაკრები ოთხ ექვსგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება, ჯგუფების ოთხ-ოთხი საუკეთესო კი მერვედფინალში თამაშის უფლებას მიიღებს.

* * *

აქვე გაუწყებთ, რომ 2016/2017 წლების ევროლიგის ოთხთა ფინალი სტამბოლში „სინან ედენ დაუმის“ სახელობის დარბაზში გაიმართება, აღნიშნულ ინფორმაციას Sportando ავრცელებს.

წყაროს ცნობით, ოთხთა ფინალი სტამბოლში 2017 წლის 19-21 მაისს ჩატარდება.

ოთხთა ფინალს სტამბოლმა ბოლოს 2012 წელს უმასპინძლა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ავსტრალიური ფეხბურთის სამსახურში



ავსტრალიური ფეხბურთი პოპულარობით სარგებლობს მწვანე კონტინენტზე, მაგრამ დანარჩენ მსოფლიოში მას არათუ მისდევენ, ხშირად მასზე არც სმენიათ, ავსტრალიელთათვის კი ის ეროვნულ თამაშობად იქცა. ავსტრალიური ფეხბურთის მატჩებზე, რომელიც, სხვათა შორის, XIX საუკუნიდან იღებს სათავეს, სტადიონები პირთამდე ივსება, ამასთან, არცთუ მომცრო ზომის თითოეული თუ არა, უამრავი ავსტრალიელი ბიჭუნა ოცნებობს, გახდეს სპორტის ამ სახეობის ვარსკვლავი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ავსტრალიელთა ეროვნული სახეობის საერთაშორისო მასშტაბით ნაკლებ პოპულარობას აუღელვებია ავსტრალიელი მოდელი კრისტალ ფორსკატი.

„რეალითი-შოუს“ — „უფროსი ძმის“ მონაწილე სპორტის ამ სახეობის თავგადაკლული ქომაგია და ცდილობს, ჩემპიონატის არც ერთი მნიშვნელოვანი მატჩი არ გამოტოვოს. კრისტალის ყურადღების მიღმა არ დარჩენილან ავსტრალიური ფეხბურთის მოთამაშეებიც. ირკვევა, რომ ავსტრალიელი მოდელი დიდი ხნის განმავლობაში ხვდებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ჯოშ გიბსონს.

უახლოეს ხანებში იტალია ავსტრალიურ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. სავსებით შესაძლებელია, ევროპირველობის მატჩებს პატივი დასდოს ფორსკატმაც. იმასაც ამბობენ, რომ ავსტრალიელი ლამაზმანის ტრიბუნებზე გამოჩენა ერთგვარ პოპულარიზაციას გაუწევს მისთვის საყვარელ სპორტის სახეობას.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რაგბი

საქართველო გაისად ურუგვაის შეხვდება

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 2017 წლის ივნისში ტურნეზე სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრება და იქ ბრაზილიის, ურუგვაისა და არგენტინის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს.

ასეთი ვარიანტის შესახებ „ბორჯღალოსანთა“ თავკაცი მილტონ ჰეიგი საუბრობდა, ახლა კი ურუგვაიმ ქართველების სტუმრობა დაადასტურა.

სამხრეთელები ნოემბრის ტესტებზე ევროპას ეწვევიან და გერმანიასთან, ესპანეთთან და რუმინეთთან ითამაშებენ, ხოლო ივნისში საქართველოს გარდა ინგლისსაც უნდა შეებან. შეგახსენებთ, რომ 2017 წელს ედი ჯონსს ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების ტურნეს გამო წამყვანი მოთამაშეები დააკლდებიან.

დავძენთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ ურუგვაისთან აქამდე 5-ჯერ უთამაშიათ და მეტოქეს 3-ჯერ სძლიეს, ხოლო ორჯერ მარცხი განიცადეს.

ბადრი იაშვილი

ეპიტაფია

გიორგი დუნდუას ხსოვნას

29 სექტემბერი... ჩვენი ოჯახის საყრდენი ბოძის გამოცლის დღეა. გიორგი, დღემდე ვერ ამიხსნია, რა მოხდა. დილით სამსახურის ნაცვლად, საავადმყოფოში აღმოჩნდი, ნახევარ საათში ყველაფერი დამთავრდა. რას არ აკეთებდნენ შენს გადასარჩენად მედიცინის მუშაკები, მეზობლები, ნათესავები, თანამშრომლები — ყველა, ვინც კი შეიტყო შენი ამბავი, მაგრამ ვერ დავამარცხეთ სიკვდილი. მაინც ყველას უღრმესი მადლობა თანადგომისათვის. შენ იმ გულმა გიღალატა, გიორგი, რომელიც სავსე იყო სიკეთით, სიყვარულით. ტრადიციების მიმდევარი იყავი და შვილებსაც და შვილიშვილებსაც ამას უნერგავდი.

უდიდეს პატივს სცემდი შენს გვარს, დუნდუების საგვარეულოს თავმჯდომარის მოადგილე იყავი, შენი სოფლის — მარნის, ისტორიას და წარსულის მასალებს იძიებდი. გიორგობის დღეს, 23 ნოემბერს ვართ ორივე დაბადებული, მაგრამ ამ დღეს უპირველესად გიორგობის დღესასწაულს აღნიშნავდი და სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიას ყოველ წელს ხარს სწირავდი. ღვთისმოშიში იყავი და მთელი ცხოვრება ქრისტეს ათი მცნებით იცხოვრე. ღალატი, ორპირობა, გაუტანლობა ყველაზე უარყოფით ემოციას იწვევდა შენში, გიყვარდა „სიტყვის კაცი“. გიხაროდა, შენ გვერდით ასეთები მრავლად რომ გყავდნენ.

35 წელი ვიცხოვრეთ ერთად, ჩვენი მთავარი საზრუნავი შვილების აღზრდა, მათთვის საფუძვლიანი განათლების მიღება იყო. შემდეგ შვილიშვილების მომავალზე, მათ კეთილდღეობაზე ვფიქრობდით. სამაგალითო მამა და ბაბუა იყავი, ოღონდ მათ არ მოკლებოდათ რამე, ისინი გაგვეხარებინა, შენთვის მთავარი ეს იყო.

შენს რძალს ლანას, სიძეს კახას შვილებში არ არჩევდი, ამიტომაც მწარედ განიცდიან უშენობას.

მეხუთე შვილიშვილის ანას დაბადებას ვერ მოესწარი, არადა, როგორ გიხაროდა. შენი სეხნია შვილიშვილი გიორგი წელს პირველად წავიდა სკოლაში, როგორ მოუთმენლად ელოდი ამ დღეს, შენი ჩანაფიქრი მისმა მშობლებმა შეასრულეს. ამ ზაფხულს პირველად ვერ დახვდი შენს შვილიშვილებს, ვერ გაანებივრე. გიგი და ლიზი სულ ჩემთან იყვნენ, გიგი დიდია, მარტო როცა ვრჩებოდი, ვეცოდებოდი. გიორგი და მარიამი კითხულობენ, ბაბუა დაგვხვდება სახლში? ბაბუა ზეციდან გვიყურებსო.

ძალიან უჭირთ უშენობა შენს დედ-მამიშვილებს, შენს სანათესაოს, ნაღვლიანი, მხრებჩამოყრილი დადის შენი ძმა მევლუდი, ორი დღით ადრე, სანამ ეს უბედურება დაგვატყდებოდა თავს, მარანში ვიყავით. როგორ ესიყვარულებოდით ერთმანეთს, თურმე ბოლო ყოფილა. თქვენ ოთხივეს არაჩვეულებრივი ურთიერთობა გქონდათ, ასევე ნათესავებსაც. ჭირსა და ლხინში ერთად დგომა იცოდით, ახლაც ასე არიან შენი ოჯახის მიმართ. მწამს, ეს ურთიერთობა სულ გაგრძელდება.

ჩვენი ეთუნა ჩემთანაა, მისი ყოფნა მამშვიდებს და ძალას მმატებს.

ძველ აბაშაში მარტო რომ მივალ, ჩვენ მძახლებს თვალები ევსებათ ცრემლებით.როგორ გიყვარდა მათთან და მათ მეზობლებთან ყოფნა და ქეიფი.

ბევრჯერ იტყოდი: ბიძაჩემს ვგავარო. განსაკუთრებით გიყვარდა და პატივს სცემდი ბიძაშენ შევარდენს. მის სიტყვას და რჩევას ყოველთვის ითვალისწინებდი. ძალიან განიცადე მისი უდროოდ გარდაცვალება.

სულის სიმშვიდე მინდა შენს საფლავზე ვიგრძნო, მაგრამ ქვაზე გამოსახული სურათი უფრო მაშფოთებს და მაფორიაქებს, თითქოს, მეკითხები: მოხვედი, მიდიხარ, მტოვებ და სინანულით მაყოლებ თვალს გარინდებული, სევდაჩაგუბებული თვალებით დასცქერიან შენს საფლავს შენი შვილები. კიდევ ვერ აცნობიერებენ, რომ მზრუნველი და საყვარელი მამა არა ჰყავთ.

როგორ გავუძლოთ, გიორგი, ამ დარდს და მწუხარებას! საოცარ რამეს ვგრძნობ, თითქოს ცოცხალი ხარ და ვაკეთებ ყველაფერს ისე, როგორც შენს სიცოცხლეში. თითქოს ზეციდან დამყურებ, რჩევას მაძლევ და იქიდან მფარველობ. ერთ ღამეს დამესიზმრე, მოხვედი და წამალი მომიტანე.გამეღვიძა გულის მწვავე ტკივილით. მაგრძნობინე, რომ ცუდად ვიყავი და გადამარჩინე, მე კი ვერ გიშველე.

რატომღაც ხშირად იმეორებდი: „ბედი ისეთი რამ არის ვერ გაექცევა ვერავინ“, მართლაც ვერ გაექეცი შენს ბედს, გიორგი, უნაპირო კაცთმოყვარე იყავი. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფმა სასუნთქი აპარატი მოიხსენი და ათრთოლებული ხმით წარმოთქვი: „ყველას დალოცვილს გტოვებთო“. ეს იყო შენი უკანასკნელი სიტყვები.

უსაზღვროდ გიყვარდა შენი „ოდაბადე“ მარანი და მარნელები. რამდენი წელი ემსახურე შენს სოფელს. ყველას უყვარდი, ყველა გიყვარდა. ერთმა მარნელმა ქალმა ასე დაგატირა „ყველას მშველელი და მფარველი იყავი, შვილო, და შენ რატომ ვერ გიშველესო“. ვერ გიშველეთ, გიორგი, სიკვდილი ვერ დავამარცხეთ. უფლის ნება ყოფილა ყველაფერი. პირველი შენი სადღეგრძელო ხომ ყოველთვის უფლის დიდების და თაყვანისცემისა იყო.

შენი გარდაცვალების მერე უფრო ცხადად გამოჩნდა შენი კაცურკაცობა,. ხალასი გული და პატიოსნება.

ყველა ადამიანი, ადრე თუ გვიან, მიდის ამ ქვეყნიდან, მთავარია, ცხოვრების რა გზა გაიარა. შენ მიერ განვლილი ცხოვრების გზა ყოველთვის იყო სწორი და სუფთა, არასოდეს გადაგიხვევია ამ გზიდან, ყველგან სპეტაკად იღვაწე სიცოცხლის ბოლომდე. იძინე მშვიდად საყვარელ მშობლებთან და ახლობლებთან ერთად. გწამდეს,რომ შენი სახელი არასოდეს მიეცემა დავიწყებას. შენით მუდამ იამაყებს შთამომავლობა.

მეუღლე
დარეჯან ელიაძე

სიტყვის კაცი

ვიგონებთ გიორგი დუნდუას

ეს კაცი არა მარტო თავის ოჯახს, სოფელს, თავის ქალაქს, არამედ თავის ქვეყანას, სამშობლოს, თავის უსაყვარლეს საქართველოს დააკლდა. ის არა ქადაგებით, ჭკუის დარიგებით ახდენდა ადამიანებზე კეთილ ზეგავლენას, არამედ თავისი დიდბუნებოვანი ადამიანობით, ურთიერთობით, სიტყვამტკიცობით, მხარში დადგომით, მეგობრული ხელის გაწვდენით, სხვისი ჭირისა და თუ ლხინის გულიანი გაზიარებით. მნიშვნელობა არა ჰქონდა, შორეული იყო ადამიანი თუ ახლობელი. იმისთვის ყველა მოყვარე იყო, ყველა პატივსაცემი იყო.

ის ისევე გულმოდგინებით ეკიდებოდა საქვეყნო საქმეს, როგორც თავისი სულით ხორცამდე ქართული ოჯახისას, ის არ ანსხვავებდა ქვეყანასა და ოჯახს. ის იმით გამოირჩეოდა ყველასაგან, რომ ღმერთი ადამიანად მიაჩნდა, ხოლო ადამიანი ღმერთად. ერთნაირი სიყვარულით ეთაყვანებოდა ორივეს.

ამ ჭეშმარიტად ღვთისნიერი ადამიანის ასე გამორჩეული შეფასების უფლებას გვაძლევს გიორგის სიახლოვე ჩვენს რედაქციასთან. ის ჩვენი ძველი გაზეთის უძველესი მკითხველი და ავტორი იყო. ყოველივე სასიხარულოს, თუ რამე ხდებოდა აბაშაში, პირველი ის გვატყობინებდა და „მეგობრულ საწყისებზე“ გვიწევდა კორესპონდენტობას, ასევე „მეგობრულ საწყისებზე“ ეწეოდა ჩვენი გაზეთის გამავრცელებლობას. და ჩვენთან ერთად, რედაქციასთან ერთად, ემზადებოდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 100 წლისთავის აღნიშვნის დღისთვის 2018 წლის მაისში.

მაგრამ სიკვდილმა, რომელსაც ხალხური გაგებით, კარგების წაყვანა უყვარს, არც გიორგი გამოირჩა. მაგრამ ამ შემთხვევაში სიკვდილი მოტყუვდა, ანგარიში არ გამოუვიდა, მართალია, ეს ჩინებული კაცური კაცი ხორციელად წაგვართვა, მაგრამ ერთი მისხალიც ვერა დააკლო რა გიორგის დიდ სულიერებას, რომელიც დღესაც ისევ ჩვენთან არის და ხვალაც ჩვენთან იქნება, ზეგაც და მუდამ როგორც ცხოვრებაში ჟამიჟამ წარმოშობილ სიძნელეებში გზამკვლევი სულმნათი მოძღვარი.

მეგობრები
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“

სანთელი



საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული არქიტექტურული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, შესანიშნავი პროფესიონალი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი, დიზაინერთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი

ვახტანგ სქიფურიშვილი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობა.

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომელი

ნინო ოქროსცვარიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცენტრის უხუცესი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი, ცენტრის საგანძურის ყოფილი მთავარი მცველი

ლამარა ქაჯაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
გამოსვენება 29 IX, 14 სთ. სიონის ტაძრიდან.

გარდაიცვალა შიმონ პერესი



ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი შიმონ პერესი 93 წლის ასაკში გარდაიცვალა.

BBC-ს ინფორმაციით, პერესის ჯანმრთელობის მდგომარეობა მიმდინარე კვირას მკვეთრად გაუარესდა, მას შემდეგ რაც მან სექტემბერში ინსულტი გადაიტანა.

შეგახსენებთ, რომ შიმონ პერესი საავადმყოფოში 13 სექტემბერს მოათავსეს. ამ დროიდან იგი ხელოვნური კომის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ასევე ფილტვების ვენტილაციის ხელოვნურ აპარატზე იყო მიერთებული.

შიმონ პერესი ისრაელის სხვადასხვა დროს თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობას იკავებდა. იგი ორჯერ პრემიერ-მინისტრი იყო, რამდენჯერმე ისრაელის თავდაცვის მინისტრი. სხვადასხვა დროს იგი ფინანსთა, კომუნიკაციების, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობებს იკავებდა.

2007-2014 წლებში პერესი ისრაელის პრეზიდენტი იყო.

1994 წელს მას მშვიდობის დარგში ნობელის პრემია გადაეცა.

კახეთში ყურძენი 15 ათასამდე მევენახემ ჩააბარა

რთველის 2016-ის ფარგლებში ღვინის კომპანიებს ყურძენი 15 ათასამდე მევენახემ ჩააბარა, რომელთაც შემოსავლების სახით 77,6 მლნ ლარი მიიღეს.

გადამმუშავებული ყურძნის რაოდენობით მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: გურჯაანი — 30 ათასი ტონა, თელავი — 22,5 ათასი ტონა, ყვარელი — 20,5 ათასი ტონა, სიღნაღი — 6,8 ათასი ტონა, ლაგოდეხი — 2,7 ათასი ტონა, ახმეტა — 2,5 ათასი ტონა, საგარეჯო — 2,4 ათასი ტონა და დედოფლისწყარო — 1,8 ათასი ტონა.

კვლავ სრული დატვირთვით მუშაობენ ღვინის საწარმოები — 27 სექტემბერს ყურძნის გადამუშავების დღეღამურმა მაჩვენებელმა 5 425 ტონა შეადგინა.

28 სექტემბერს ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 54 ღვინის კომპანია, მათ შორის, 9 სახელმწიფოს მიერ დაქირავებული საწარმო, დანარჩენი კერძო ღვინის კომპანიაა.

შემოსავლების სამსახურის ახალი სერვისები

იუსტიციის სახლის სერვისებს, შემოსავლების სამსახურის ორი ახალი მომსახურება — ცნობა საბანკო ანგარიშების თაობაზე და ცნობა საგადასახადო დავალიანების თაობაზე დაემატა. უკვე დღეიდან სერვისი იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში იქნება ხელმისაწვდომი.

ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი თაბუაშვილმა და იუსტიციის სახლის აღმასრულებელმა დირექტორმა გივი აზაურაშვილმა მოაწერეს.

თანამშრომლობის ფარგლებში უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სხვა სერვისების დანერგვის თაობაზე, რაც საშუალებას იძლევა, შემოსავლების სამსახურის სერვისები იუსტიციის სახლებში გაცილებით ფართო სპექტრით იყოს წარმოდგენილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის მეშვეობით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მოქალაქეთა ნაწილი მოითხოვს, რათა მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება „დავით აღმაშენებელი“ დაუბრუნდეს თავის ადგილს, სადაც ის დადგა თვით ავტორმა.

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი თხოვნაც, რათა ასრულდეს გარდაცვლილი ხელოვანის სურვილი.

პატივისცემით
მარიამ ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი

ე.წ საზღვარზე საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ ადმინისტრაციულ საზღვარზე რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს.

როგორც Спутник-Абхазия აფხაზეთში რუსეთის „ფსბ“-ს სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახურზე დაყრდნობით იტყობინება, ნიკა და ბადრი კულავები „საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის“ ბრალდებით დააკავეს. დაკავებულებს პირადი ნივთების დათვალიერების შედეგად „მუქი მწვანე ფერის მცენარე“ აღმოაჩნდათ.

უწყების ინფორმაციითვე, დაკავებულები გალის პოლიციაში არიან გადაყვანილი „საპროცესო გადაწყვეტილების მისაღებად“.

ანეკდოტები

მილებაზე ფსიქიატრთან:

— თქვენს ოჯახში ვინმეს განდიდების მანია ხომ არ სჭირს?

— როგორ არა, ექიმო! ჩემი ქმარი დროდადრო აცხადებს, რომ ის ოჯახის უფროსია...

* * *

თავდაპირველად „კამასუტრა“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სახელმძღვანელო იყო, მაგრამ შემდეგ ვიღაცამ რაღაც-რაღაცები მიახატა და... დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!!!

* * *

თუკი თანაკლასელი ქალიშვილის ცნობა სკოლის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგაც შეიძლება, მაშასადამე, იგი ჯერაც გაუთხოვარია.

* * *

— რა ვქნა — მიყვარს ძილი! მეც კარგად ვგრძნობ თავს და ქვეყანასაც არანაირი საფრთხე არ ემუქრება!

* * *

ცოლი:

— ჩემმა უფროსმა რამდენიმე დღით მასთან ერთად ზღვაზე წასვლა შემომთავაზა.

ქმარი:

— მერე, რას აპირებ, წახვალ?

ცოლი:

— წავალ, აბა რას ვიზამ? სულელი ხომ არა ვარ ასეთი ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გავუშვა?! და შენ რა, არ წამოხვალ?

ქმარი:

— რა თქმა უნდა, არა! მე რა, გიჟი ხომ არა ვარ, ასეთი ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გავუშვა?!..

ერთად ძილის „დულაბი“

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ, **როგორც იქნა, მიაგნეს ბედნიერი ქორწინების საიდუმლოს: მათი განცხადებით, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ხშირად იმის გამო სცილდება, რომ ერთ ლოგინში წოლისას ძილი არ ჰყოფნით. ისმება კითხვა: ნუთუ ოჯახის შესანარჩუნებლად საჭიროა ცალ-ცალკე ძილი?**

ამასთან დაკავშირებით მედიკოსები ამბობენ, რომ ცალ-ცალკე ცოლ-ქმრის დაძინების იდეა არახალია და მასში გარკვეული რაციონალური მარცვალიც არის: როცა ადამიანს მარტოკას სძინავს, იგი უფრო მალე იძინებს, უფრო მაგრადაც სძინავს და, შესაბამისად, გარანტირებულადაც გამოძინებული იღვიძებს. მაგრამ, ცოლ-ქმრის ცალ-ცალკე ძილი მეუღლეების ერთმანეთისადმი გულცივობას აძლიერებს, ერთ ლოგინში ძილი კი ახლობელი ადამიანისთვის ემოციური კომფორტის შემქმნელია, რომელიც ყველა სხვა უხერხულობაზე უფრო დიდი მნიშვნელობის მქონეა.

ვინ სად ისვენებს?

ხალხის უმეტესობა დასვენებას ზაფხულში ცდილობს, ამიტომაც, ალბათ, სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი ის ინტერესი, რომელსაც ბევრი ჩვენგანი იმის მიმართ იჩენს, თუ სად ატარებენ თავიანთ „არდადეგებს“ ძლიერნი ამა ქვეყნისა.

ზოგიერთი მათგანი დასასვენებლად საზღვარგარეთ მიდის, ზოგიც საკუთარ ქვეყანაში დარჩენას ამჯობინებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა შარშან მასაჩუსეტსის შტატში, ატლანტიკის ოკეანის ერთ პატარა კუნძულზე ისვენებდა. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შვებულებას, ჩვეულებრივ, სოჭში ატარებს, თუმცა წელს ყირიმში იყოს წასული. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი მეუღლესთან ერთად წლეულს უკვე მეშვიდედ შვებულებაზე იტალიის ალპებში წავიდა. აღდგომის არდადეგები კი მან ესპანეთის კანარის ერთ-ერთ კუნძულზე გაატარა, მეზობელ კუნძულზე იმ დროს დიდი ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი იმყოფებოდა.

მატყუარის გამოცნობა

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა თანამოსაუბრე — ამა თუ იმ მიზეზით — სიმართლეს არ გვეუბნება. ბევრს, ალბათ, დააინტერესებს, შესაძლებელია თუ არა იმის გარჩევა, ცრუობს კაცი თუ სიმართლეს ამბობს.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ გამოცდილი მატყუარის გამოცნობა საკმაოდ ძნელი საქმეა, მაგრამ არის რამდენიმე ნიშანი, რომელიც ცრუპენტელას გამოაშკარავებაში დაგეხმარებათ:

* როცა კაცი ცრუობს, იგი, ჩვეულებრივ, სტრესს განიცდის, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს თვალების ჭარბი ელვარებით, ხელების კანკალით, უნებლიე მოძრაობებით, ვთქვათ ცხვირის გაუთავებელი ფხანით, ანდა მაგიდაზე თითების კაკუნით.

* მეტი დამაჯერებლობისთვის, მატყუარები ზედმეტად ბევრს ლაპარაკობენ. მათ მონათხრობში მრავლადაა არასაჭირო წვრილმანები, კითხვებსაც საჭიროზე მეტად დაწვრილებით პასუხობენ.

* სიცრუის კიდევ ერთი გავრცელებული ნიშანია მატყუარის მიერ თანამოსაუბრისთვის თვალის არიდება. თანაც სპეციალისტებმა გამოთვალეს: როცა მამაკაცი ცრუობს, იგი, უმეტესად, იატაკს დაცქერის, ქალები კი თვალს ჭერში აღაპყრობენ ხოლმე.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით.

ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3276; ევრო - 2.6174;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0163;
100 რუბლი - 3.6478; თურქული ლირა - 0.7828;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4047;
1000 სომხური დრამი - 4.9116.

ამინდი 29 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +21
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +16
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +14
თბილისი:	ღამე +12,	დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE